

სსბასს 17—ძირითადი აქტივები

გამომცემლისაგან

წინამდებარე საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (სსბასს) ძირითადად ეფუძნება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოქვეყნებულ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტ (ბასსს) 16-ის (შესწორებულია 2003 წელს) შესაბამისი ნაწილს - *ძირითადი საშუალებები*. ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (ბსფ) საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (სსბასსს) მიერ მომზადებულ წინამდებარე პუბლიკაციაში მოცემული ამონარიდები ბასს 16-იდან გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) ფონდის ნებართვით.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) დამტკიცებულ ტექსტს წარმოადგენს ბასსს-ის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული ტექსტი, რომლის ასლები შესაძლებელია მოპოვებულ იქნეს უშუალოდ ფასს-ის საგამომცემლო დეპარტამენტში, შემდეგ მისამართზე: First Floor, 30 Cannon Street, London EC4M 6XH, United Kingdom.

ელ.ფოსტა: publications@ifrs.org

ვებ-გვერდი www.ifrs.org

ფასს-ები, ბასს-ები, განსახილველი პროექტები და ბასსს-ის სხვა გამოცემები დაცულია ფასს-ის ფონდის საავტორო უფლებით.

“IFRS,” “IAS,” “IASB,” “IFRS Foundation,” “International Accounting Standards,” და “International Financial Reporting Standards” ფასს-ების ფონდის სავაჭრო ნიშნებია და არ უნდა იქნეს გამოყენებული, ფასს-ების ფონდის თანხმობის გარეშე.

სსბასს 17—ძირითადი აქტივები

სსბასს-ის ისტორია

წინამდებარე ვერსია მოიცავს 2018 წლის 31 იანვრამდე გამოცემული სსბასს-ებით გამოწვეულ ცვლილებებს.

სსბასს 17, ძირითადი აქტივები, გამოცემულ იქნა 2001 წლის დეკემბერში.

2006 წლის დეკემბერში სსბასსს-მ გამოსცა შესწორებული სსბასს 17.

მას შემდეგ სსბასს 17 შესწორდა შესაბამისი სსბასს-ებით:

- სსბასს 40, *საჯარო სექტორის ერთეულთა გაერთიანებები*, (2017 წლის იანვრის გამოცემა)
- სსბასს 39, *დაქირავებულთა სარგებელი* (2016 წლის ივლისის გამოცემა)
- გადაფასებული აქტივების გაუფასურება (ცვლილებები სსბასს 21-ში, *ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გაუფასურება*, და სსბასს 26-ში, *ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივების გაუფასურება*) (2016 წლის ივლისის გამოცემა)
- *სსბასს-ების გამოყენება* (2016 წლის აპრილის გამოცემა)
- *სსბასს-ების 2015 წლის გაუმჯობესება* (გამოცემა 2016 წლის აპრილი)
- სსბასს 33, *დარიცხვის მეთოდის საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) პირველად გამოყენება*, (2015 წლის იანვრის გამოცემა)
- სსბასს-ების 2014 წლის გაუმჯობესება (2015 წლის იანვრის გამოცემა)
- სსბასს 32, *შეღავათიანი მომსახურების შეთანხმებები: უფლების გადამცემი* (2011 წლის ოქტომბრის გამოცემა)
- *გაუმჯობესებული 2011-წლის სსბასს-ები* (2011 წლის ოქტომბრის გამოცემა)
- *გაუმჯობესებული სსბასს-ები* (2010 წლის იანვრის გამოცემა)
- სსბასს 27, *სოფლის მეურნეობა* (2009 წლის დეკემბრის გამოცემა)
- სსბასს 31, *არამატერიალური აქტივები* (2010 წლის იანვრის გამოცემა)

სსბასს 17-ში შეცვლილი პუნქტების ცხრილი

შეცვლილი პუნქტი	ცვლილების შედეგი	ცვლილების საფუძველი
შესავალი ნაწილი	ამოღებულია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2011 წლის ოქტომბერი
3	ამოღებულია	სსბასს-ების გამოყენება, 2016 წლის აპრილი
4	ამოღებულია	სსბასს-ების გამოყენება, 2016 წლის აპრილი
5	შეცვლილია	სსბასს 32, 2011წლის ოქტომბერი სსბასს-ების გაუმჯობესება, 2016 წლის აპრილი
6	შეცვლილია	სსბასს 27, 2009 წლის დეკემბერი სსბასს-ების გაუმჯობესება, 2016 წლის აპრილი
7	შეცვლილია	სსბასს 32, 2011 წლის ოქტომბერი
8	შეცვლილია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2010 წლის იანვარი
13	შეცვლილია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2016 წლის აპრილი
14	შეცვლილია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2016 წლის აპრილი
17	შეცვლილია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2015 წლის იანვარი
20	შეცვლილია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2016 წლის აპრილი
31	შეცვლილია	სსბასს 39, 2016 წლის ივლისი
36ა	დამატებულია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2016 წლის აპრილი
50	შეცვლილია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2015 წლის იანვარი
51ა	დამატებულია	გადაფასებული აქტივების გაუფასურება, 2016 წლის ივლისი

შეცვლილი პუნქტი	ცვლილების შედეგი	ცვლილების საფუძველი
52	შეცვლილია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2016 წლის აპრილი
60	შეცვლილია	სსბასს 40, 2017 წლის იანვარი
65	შეცვლილია	სსბასს 31, 2010 წლის იანვარი
72	შეცვლილია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2015 წლის იანვარი
78ა	დამატებულია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2015 წლის იანვარი
79	შეცვლილია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2011 წლის ოქტომბერი
81	შეცვლილია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2011 წლის ოქტომბერი
83	შეცვლილია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2011 წლის ოქტომბერი
83ა	დამატებულია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2010 წლის იანვარი
84	შეცვლილია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2010 წლის იანვარი
88	შეცვლილია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2011 წლის ოქტომბერი
93	შეცვლილია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2011 წლის ოქტომბერი
95	ამოღებულია	სსბასს 33, 2015 წლის იანვარი
96	ამოღებულია	სსბასს 33, 2015 წლის იანვარი
97	ამოღებულია	სსბასს 33, 2015 წლის იანვარი
98	ამოღებულია	სსბასს 33, 2015 წლის იანვარი
99	ამოღებულია	სსბასს 33, 2015 წლის იანვარი
100	ამოღებულია	სსბასს 33, 2015 წლის იანვარი

შეცვლილი პუნქტი	ცვლილების შედეგი	ცვლილების საფუძველი
101	ამოღებულია	სსბასს 33, 2015 წლის იანვარი
102	ამოღებულია	სსბასს 33, 2015 წლის იანვარი
103	ამოღებულია	სსბასს 33, 2015 წლის იანვარი
104	ამოღებულია	სსბასს 33, 2015 წლის იანვარი
106ა	დამატებულია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2015 წლის იანვარი
107ა	დამატებულია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2010 წლის იანვარი
107ბ	დამატებულია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2010 წლის იანვარი
107გ	დამატებულია	სსბასს 32, 2011 წლის ოქტომბერი
107დ	დამატებულია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2011 წლის ოქტომბერი
107ე	დამატებულია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2015 წლის იანვარი
107ვ	დამატებულია	სსბასს 33, 2015 წლის იანვარი
107ზ	დამატებულია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2015 წლის იანვარი
107თ	დამატებულია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2016 წლის აპრილი
107ი	დამატებულია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2016 წლის აპრილი
107კ	დამატებულია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2016 წლის აპრილი
107ლ	დამატებულია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2016 წლის აპრილი
107მ	დამატებულია	გადაფასებული აქტივების გაუფასურება, 2016 წლის ივლისი
107ნ	დამატებულია	სსბასს 39, 2016 წლის ივლისი
107ო	დამატებულია	სსბასს 40,

შეცვლილი პუნქტი	ცვლილების შედეგი	ცვლილების საფუძველი
		2017 წლის იანვარი
108	შეცვლილია	სსბასს 33, 2015 წლის იანვარი

სსბასს 17—ძირითადი აქტივები

შინაარსი

	პუნქტი
მიზანი	1
მოქმედების სფერო	2–12
კულტურული მემკვიდრეობის აქტივები	9–12
განმარტებები	13
აღიარება	14–25
ინფრასტრუქტურული აქტივები	21
თავდაპირველი ღირებულება	22
შემდგომი ხარჯები	23–25
შეფასება აღიარებისას	26–41
თვითღირებულების ელემენტები	30–36
თვითღირებულების განსაზღვრა	37–41
აღიარების შემდგომი შეფასება	42–81
თვითღირებულების მოდელი	43
გადაფასების მოდელი	44–58
ცვეთა	59–78
ცვეთადი ღირებულება და ცვეთის პერიოდი	66–75
ცვეთის მეთოდი	76–78
გაუფასურება	79
გაუფასურების კომპენსირება	80–81
აღიარების შეწყვეტა	82–87
განმარტებითი შენიშვნები	88–94
გარდამავალი დებულებები	95–106
ძალაში შესვლის თარიღი	107–108
სსბასს 17-ის (2001) გაუქმება	109
დანართი: სხვა სსბასს-ებში შესწორებები	
დასკვნის საფუძველი	

მითითებები დანერგვაზე

საილუსტრაციო მაგალითი

ბასს 16-თან შედარება

საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 17, ძირითადი აქტივები, მოცემულია 1-109 პუნქტებში. ყველა პუნქტს თანაბარი ძალა გააჩნია. სსბასს 17 გააზრებული უნდა იყოს მისი მიზნის, დასკვნის საფუძვლის, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების წინასტიყვაობისა და საჯარო სექტორის ერთეულებისთვის ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების კონტექსტში. ზუსტი მითითებების არარსებობის შემთხვევაში, სსბასს 3, სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები, წარმოადგენს ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკის შერჩევისა და გამოყენების საფუძველს.

მიზანი

1. წინამდებარე სტანდარტის მიზანია ძირითადი აქტივების ბუღალტრული აღრიცხვის წესის განსაზღვრა, რათა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებმა მიიღონ ინფორმაცია ძირითად აქტივებში ინვესტიციისა და შეტანილი ცვლილების შესახებ. ძირითადი აქტივების ბუღალტრულ აღრიცხვაში წამყვანი საკითხებია: ა) აქტივების აღიარება, ბ) მათი საბალანსო ღირებულების განსაზღვრა და გ) მათთან დაკავშირებული ცვეთის თანხებისა და გაუფასურების ზარალის აღიარება.

მოქმედების სფერო

2. პირი, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს და წარადგენს დარიცხვის მეთოდით, ძირითადი აქტივების ბუღალტრული აღრიცხვისათვის უნდა იყენებდეს აღნიშნულ სტანდარტს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა:
 - ა) ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სხვა საერთაშორისო სტანდარტი მოითხოვს ან უშვებს ბუღალტრული აღრიცხვის განსხვავებულ მიდგომას; და
 - ბ) კულტურული მემკვიდრეობის აქტივების აღრიცხვისას. თუმცა, 88-ე, 89-ე და 92-ე პუნქტებში დადგენილი განმარტებების მოთხოვნები ვრცელდება იმ კულტურული მემკვიდრეობის აქტივებზე, რომლებიც აღიარებულია.
3. [ამოღებულია]
4. [ამოღებულია]
5. წინამდებარე სტანდარტი ვრცელდება ძირითად აქტივებზე, მათ შორის:
 - ა) შეიარაღების სისტემებზე;
 - ბ) ინფრასტრუქტურულ აქტივებზე; და
 - გ) შეღავათიანი მომსახურების შეთანხმებით მიღებულ აქტივებზე სსბასს 32-ის, *შეღავათიანი მომსახურების შეთანხმებები: უფლების გადამცემი*, მიხედვით თავდაპირველი აღიარებისა და მისი შეფასების შემდეგ.

95-ე-104-ე პუნქტებში მოცემული გარდამავალი დებულებები ათავისუფლებს მოთხოვნისაგან, რომელიც ხუთწლიანი გარდამავალი პერიოდის განმავლობაში ყველა ძირითადი აქტივის აღიარებას მოითხოვს.

6. წინამდებარე სტანდარტი არ ვრცელდება:

- (ა) სოფლის მეურნეობის წარმოებასთან დაკავშირებული ბიოლოგიური აქტივებისათვის (იხ. სსბასს 27, *სოფლის მეურნეობა*). წინამდებარე სტანდარტი გამოიყენება ნაყოფის მომცემ კულტურებთან მიმართებით, მაგრამ არ გამოიყენება ნაყოფის მომცემი კულტურების ნაყოფის მიმართ; ან
- (ბ) სასარგებლო წიაღისეული რესურსების მოპოვების უფლებებზე და სასარგებლო წიაღისეული რესურსების რეზერვებზე, როგორცაა: ნავთობი, ბუნებრივი გაზი და მსგავსი არაკვლავწარმოებადი რესურსები (იხ. შესაბამისი საერთაშორისო ან ეროვნული ბუღალტრული სტანდარტი, რომელიც ეხება სასარგებლო წიაღისეული რესურსების მოპოვების უფლებებს, სასარგებლო წიაღისეული რესურსების რეზერვებს და მსგავს არაკვლავწარმოებად რესურსებს).

თუმცა, აღნიშნული სტანდარტი ვრცელდება იმ ძირითად აქტივებზე, რომლებიც გამოიყენება 6 (ა) და 6 (ბ) პუნქტებში აღწერილი აქტივების განვითარებისათვის ან ექსპლუატაციისათვის.

7. სხვა სსბასს-ები შესაძლებელია მოითხოვდნენ ძირითადი აქტივების აღიარებას იმ მიდგომის საფუძველზე, რომელიც განსხვავდება წინამდებარე სტანდარტში ასახული მიდგომისაგან. მაგალითად სსბასს 13, *იჯარა*, ავალდებულებს ერთეულს იჯარით აღებული ძირითადი აქტივების აღიარება შეაფასოს რისკებისა და სარგებლის გადაცემის საფუძველზე. სსბასს 32 ავალდებულებს ერთეულს აქტივების კონტროლის საფუძველზე განახორციელოს იმ ძირითადი აქტივების აღიარების შეფასება, რომლებიც გამოიყენებულია შეღავათიანი მომსახურების შეთანხმებაში. თუმცა, ასეთ შემთხვევებში, ამ აქტივებთან დაკავშირებული აღრიცხვის ყველა სხვა ასპექტი, ცვეთის ჩათვლით, განისაზღვრება წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად.

8. ერთეულმა, რომელიც იყენებს თვითღირებულების მოდელს საინვესტიციო ქონებისათვის სსბასს 16-ის, *საინვესტიციო ქონება*, შესაბამისად, უნდა გამოიყენოს თვითღირებულების მოდელი მოცემული სტანდარტის მიზნებისთვისაც.

კულტურული მემკვიდრეობის აქტივები

9. წინამდებარე სტანდარტი არ ავალდებულებს ერთეულს აღიაროს ის კულტურული მემკვიდრეობის აქტივები, რომლებიც სხვა შემთხვევაში დააკმაყოფილებდა ძირითადი აქტივების ცნებას და აღიარების კრიტერიუმებს. თუ ერთეული აღიარებს კულტურული მემკვიდრეობის აქტივებს, მან უნდა გაითვალისწინოს მოცემული სტანდარტის ის მოთხოვნები, რომლებიც უკავშირდება ინფორმაციის

გამქდავნებას და ასევე შეუძლია, მაგრამ არ არის ვალდებული, გამოიყენოს მოცემული სტანდარტის ის მოთხოვნები, რომლებიც უკავშირდება შეფასებას.

10. ზოგიერთი აქტივი აღწერილია როგორც კულტურული მემკვიდრეობის აქტივი მისი კულტურული, ეკოლოგიური ან ისტორიული მნიშვნელობიდან გამომდინარე. კულტურული მემკვიდრეობის აქტივები მოიცავს: ისტორიულ შენობებს და ძეგლებს, არქეოლოგიური გათხრის ადგილებს, დაცულ ტერიტორიებს, ნაკრძალებს და ხელოვნების ნიმუშებს. გარკვეული მახასიათებლები, მათ შორის ქვემოთ ჩამოთვლილი, ხშირად კულტურული მემკვიდრეობის აქტივებს უკავშირდება (თუმცა, აღნიშნული მახასიათებლები მხოლოდ კულტურული მემკვიდრეობის აქტივებისათვის არ არის დამახასიათებელი):

- (ა) ნაკლებად სავარაუდოა, რომ მათი კულტურული, გარემოსთან დაკავშირებული, საგანმანათლებლო და ისტორიული ღირებულება მთლიანად ასახული იქნება ისეთ ფინანსურ ღირებულებაში, რომელიც წმინდა საბაზრო ღირებულებას ეფუძნება.
- (ბ) სამართლებრივი ან/და კანონიდან გამომდინარე ვალდებულებები შესაძლოა აწესებდეს აკრძალვებს ან მკაცრ შეზღუდვებს გასვლასთან დაკავშირებით.
- (გ) ისინი ხშირად შეუცვლელია და მათი ღირებულება შესაძლოა დროთა განმავლობაში გაიზარდოს, მაშინაც კი, თუ მათი ფიზიკური მდგომარეობა გაუარესდება; და
- (დ) რთულია მათი სიცოცხლისუნარიანობის შეფასება, რომელიც ზოგიერთ შემთხვევაში შესაძლოა რამდენიმე ასწლეულს ითვლიდეს.

საჯარო სექტორის ერთეულს შესაძლოა გააჩნდეს კულტურული მემკვიდრეობის აქტივების დიდი რეზერვები, რომლებიც მრავალი წლის მანძილზე იქნა შეძენილი სხვადასხვა გზით, მათ შორის შესყიდვის, ჩუქების, მემკვიდრეობით მიღების და კონფისკაციის მიშვეობით. ეს აქტივები არ გამოიყენება ფულადი სახსრების ნაკადების გენერირებისათვის, და მათი ამგვარი მიზნებით

11. ზოგიერთ კულტურული მემკვიდრეობის აქტივს გააჩნია მომავალი ეკონომიკური სარგებელი ან მომსახურების პოტენციალი, რომელიც განსხვავდება მათი, როგორც კულტურული მემკვიდრეობის, ღირებულებისაგან, მაგალითად, როდესაც ისტორიულ შენობას იყენებენ ოფისის განსათავსებლად. ამგვარ შემთხვევებში ისინი შესაძლოა აღიარებულ და შეფასებულ იქნას ისევე, როგორც

ძირითადი აქტივების სხვა ერთეულები. სხვა კულტურული მემკვიდრეობის აქტივებისთვის, მათი მომავალი ეკონომიკური სარგებელი ან მომსახურების პოტენციალი დაყვანილია მათ კულტურულ მახასიათებლებამდე. მაგალითად, ძეგლები და ნანგრევები. როგორც მომავალი ეკონომიკური სარგებლის, ისე მომსახურების პოტენციალის არსებობამ შესაძლოა ზეგავლენა მოახდინოს შეფასების მეთოდის შერჩევაზე.

12. 88-94-ე პუნქტებში მოცემული მოთხოვნები ავალდებულებს ერთეულებს გაამჟღავნონ ინფორმაცია აღიარებულ აქტივებთან დაკავშირებით. ამდენად, იმ ერთეულებს, რომლებიც აღიარებენ კულტურული მემკვიდრეობის აქტივებს, მოეთხოვებათ გაამჟღავნონ შემდეგი ინფორმაცია ისეთი აქტივების შესახებ, როგორიცაა:
- (ა) გამოყენებული შეფასების მეთოდი
 - (ბ) გამოყენებული ცვეთის მეთოდი, თუ ასეთი არსებობს
 - (გ) სრული საბალანსო ღირებულება
 - (დ) პერიოდის ბოლოსთვის დაგროვილი ცვეთა, თუ ასეთი არსებობს და
 - (ე) საბალანსო ღირებულების შედარება პერიოდის დასაწყისისა და ბოლოსთვის მისი გარკვეული კომპონენტების ჩვენებით.

განმარტებები

13. წინამდებარე სტანდარტში მოცემული ტერმინები გამოყენებულია შემდეგი მნიშვნელობით:

ნაყოფის მომცემი კულტურა არის ცოცხალი მცენარე:

- (ა) რომელიც გამოიყენება სოფლის მეურნეობის პროდუქციის საწარმოებლად, ან მისაწოდებლად;
- (ბ) მოსალოდნელია, რომ ერთზე მეტი პერიოდის განმავლობაში მოიწვეს ნაყოფს; და
- (გ) მცირეა სოფლის მეურნეობის პროდუქციის სახით მისი გაყიდვის ალბათობა, ნარჩენების სახით თანმდევი გაყიდვების გარდა.

(ნაყოფის მომცემი კულტურის განმარტება უფრო დეტალურად განხილულია სსბასს 27-ის 9ა-9გ პუნქტებში).

საბალანსო ღირებულება (წინამდებარე სტანდარტის მიზნებისათვის) არის თანხა, რომლითაც აქტივი აღიარებულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხების გამოკლების შემდეგ.

ძირითადი აქტივების ჯგუფი ნიშნავს ერთეულის ოპერაციებში აქტივების დაჯგუფებას მსგავსი ტიპის ან ფუნქციის მიხედვით,

რომელიც ინფორმაციის გამჟღავნების მიზნით ფინანსურ ანგარიშგებაში ნაჩვენებია როგორც ერთი მუხლი.

ცვეთადი თანხა არის აქტივის თვითღირებულება ან აქტივის ღირებულების შესაფასებლად გამოყენებული სხვა თანხა, ნარჩენი ღირებულების გამოკლებით.

ცვეთა არის აქტივის ცვეთადი თანხის სისტემური განაწილება მისი მომსახურების ვადის განმავლობაში.

ერთეულისათვის სპეციფიკური ღირებულება არის ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულება, რომელსაც ერთეული ელოდება, აქტივის გამოყენებიდან და გასვლიდან სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს ან ვალდებულებების გასტუმრების შემთხვევაში.

ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივის გაუფასურების ზარალი არის თანხა, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის აღდგენით ღირებულებას.

ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივის გაუფასურების ზარალი არის თანხა, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი აქტივები წარმოადგენს მატერიალურ აქტივებს, რომლებიც:

- (ა) იმყოფება ერთეულის მფლობელობაში და გამოიყენება: საქონლის ან მომსახურების წარმოებაში ან მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და
- (ბ) გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

აღდგენითი ღირებულება - არის უდიდესი, გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ ფულადი სახსრების წარმომშობ აქტივის სამართლიან ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის.

აღდგენითი მომსახურების ღირებულება - არის უდიდესი, გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების სამართლიან ღირებულებასა და მის გამოყენების ღირებულებას შორის.

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებითი თანხა, რომელსაც ერთეული ამჟამად მიიღებდა აქტივის გაყიდვის შემთხვევაში, გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით, თუ აქტივს უკვე ექნებოდა მისი სასარგებლო მომსახურების ვადის ბოლოს მოსალოდნელი ხანდაზმულობა და მდგომარეობა.

სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება:

- (ა) პერიოდით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ერთეულის მიერ აქტივის გამოყენება; ან
- (ბ) პროდუქციის ან მსგავსი ნაწარმის რაოდენობით, რომლის მიღებაც მოსალოდნელია ერთეულის მიერ მოცემული აქტივის გამოყენებით.

სხვა სსბასს-ებში განსაზღვრული ტერმინები წინამდებარე სტანდარტში იმავე მნიშვნელობით გამოიყენება, როგორც მოცემულია სხვა სტანდარტებში და ცალკე გამოქვეყნებულ ტერმინთა განმარტებების გლოსარში.

აღიარება

- 14. ძირითადი აქტივების ღირებულება აღიარებული უნდა იქნას აქტივად მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ:
 - (ა) მოსალოდნელია, რომ ერთეული მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს ან მომსახურების პოტენციალს; და
 - (ბ) ერთეულისათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ¹ შეფასება.
- 15. [ამოღებულია]
- 16. [ამოღებულია]
- 17. სათადარიგო ნაწილები და დამხმარე და მომსახურების მოწყობილობები აღიარდება წინამდებარე სსბასს-ის შესაბამისად, როდესაც ისინი აკმაყოფილებს ძირითადი აქტივების განმარტებას. სხვა შემთხვევაში, კლასიფიცირდება, როგორც მატერიალური მარაგი.
- 18. მოცემული სტანდარტი არ ადგენს აღიარების საზომ ერთეულს, ე.ი. რას მოიცავს ძირითადი აქტივის ერთეული. ამგვარად, საჭიროა განსჯა, აღიარების კრიტერიუმის გამოსაყენებლად ამა თუ იმ ერთეულის კონკრეტული ვითარების მიმართ. ზოგიერთ შემთხვევაში, მიზანშეწონილია, ინდივიდუალურად უმნიშვნელო ერთეულების გაერთიანება, როგორცაა, ბიბლიოთეკის წიგნები, კომპიუტერის ნაწილები და აღჭურვილობის მცირე ზომის ნივთები და კრიტერიუმის გამოყენება აგრეგირებული ღირებულებისათვის.
- 19. ერთეული ყველა ძირითად აქტივს აფასებს აღიარების ზემოაღნიშნული პრინციპის მიხედვით იმ თარიღით, როდესაც ისინი

¹ ინფორმაცია, რომელიც საიმედოა, თავისუფალია არსებითი შეცდომებისგან და მიკერძოებისგან, და შეიძლება მომხმარებელზე იყოს დამოკიდებული, რომ ერთგულად წარმოადგენდეს იმას, რასაც უნდა წარმოადგენდეს ან გონივრულად მოსალოდნელია, რომ წარმოადგენდეს. სსბასს 1-ის დს16 პუნქტში განხილულია საიმედოობის ახსნის გარდამავალი მიდგომა.

იქნა შეძენილი. ეს ღირებულება მოიცავს ძირითადი აქტივის თავდაპირველი შეძენის ან შექმნის დროს გაწეულ დანახარჯებს და შემდგომში ნაწილების შეცვლის ან მისი მომსახურებისთვის დამატებით გაწეულ დანახარჯებს.

20. შეიარაღების სისტემები ჩვეულებრივ აკმაყოფილებს ძირითადი აქტივების განმარტებას და აღიარებული უნდა იყოს როგორც აქტივი ამ სტანდარტის შესაბამისად. შეიარაღების სისტემებში შედის მანქანები და სხვა მოწყობილობები, როგორცაა ხომალდები, წყალქვეშა ნაგები, სამხედრო თვითმფრინავები, ტანკები, სარაკეტო გადამზიდავები და გამშვები მოწყობილობები, რომლებიც გამოიყენება მუდმივად თავდაცვის სერვისების მიწოდებაში, მაშინაც კი, თუ მათი სამშვიდობოდ გამოყენება მხოლოდ დანაშაულის ჩადენისგან შეკავების მიზნებისათვისაა. ზოგიერთ ერთჯერადი დანიშნულების საგანი, მაგალითად, ბალისტიკური რაკეტების გარკვეული ტიპები, შესაძლოა აგრესორების წინააღმდეგ შეკავების მუდმივ მომსახურებას უზრუნველყოფდნენ და, შესაბამისად, შეიძლება კლასიფიცირდეს როგორც შეიარაღების სისტემები.

ინფრასტრუქტურული აქტივები

21. ზოგიერთი აქტივი, ჩვეულებრივ, აღწერილია, როგორც ინფრასტრუქტურული აქტივი. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ინფრასტრუქტურული აქტივების რაიმე საყოველთაოდ მიღებული განმარტება, მათ ჩვეულებრივ ახასიათებთ ქვემოთ ჩამოთვლილი ზოგიერთი ან ყველა ნიშანი:

- (ა) ისინი სისტემის ან ქსელის ნაწილს წარმოადგენენ;
- (ბ) მათ სპეციალიზებული დანიშნულება აქვთ და არ ხდება მათი ალტერნატიული გამოყენება;
- (გ) ისინი უძრავია; და
- (დ) ისინი შესაძლოა დაექვემდებაროს გასვლასთან დაკავშირებულ გარკვეულ შეზღუდვებს.

მიუხედავად იმისა, რომ ინფრასტრუქტურული აქტივების ფლობა არ ხორციელდება მხოლოდ იმ ერთეულების მიერ, რომლებიც საჯარო სექტორშია, მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული აქტივები ხშირად გვხვდება სწორედ საჯარო სექტორში. ინფრასტრუქტურული აქტივები აკმაყოფილებს ძირითადი აქტივების განსაზღვრებას და ისინი უნდა აღირიცხოს ამ სტანდარტის შესაბამისად. ინფრასტრუქტურული აქტივების მაგალითები მოიცავს საგზაო ქსელებს, კანალიზაციის სისტემებს, წყლის და ელექტრო ენერჯის მომარაგების სისტემებს და საკომუნიკაციო ქსელებს.

თავდაპირველი დანახარჯები

22. ძირითადი აქტივები შეიძლება შეძენილ იქნეს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ან გარემოს დაცვის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი აქტივების შეძენა პირდაპირ არ უკავშირდება ერთეულის მიერ ამ აქტივების გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის მიღებას, ეს აქტივები შეიძლება აუცილებელი იყოს ერთეულის მიერ სხვა აქტივებით ეკონომიკური სარგებლის მისაღებად. ძირითადი აქტივების ამგვარი ობიექტების აღიარება აქტივების სახით იმის გამო ხდება, რომ ეს აქტივები საშუალებას იძლევა, ერთეულმა მომავალი ეკონომიკური სარგებელი მიიღოს სხვა აქტივებიდან, რაც შეიძლება არ მომხდარიყო ამ აქტივების გარეშე. მაგალითად, სახანძრო უსაფრთხოების წესების მოთხოვნა შესაძლოა იყოს ის, რომ ჰოსპიტალმა მოახდინოს ახალი სახანძრო სისტემის მოდიფიკაცია. ეს გაუმჯობესებები უნდა აღიარდეს აქტივად, რადგან მათ გარეშე ერთეულს არ შეუძლია აამუშაოს ჰოსპიტალი წესებისა და ინსტრუქციების შესაბამისად. ამასთან, ასეთი და მსგავსი აქტივისა და დაკავშირებული აქტივების საბალანსო ღირებულება გაუფასურების კუთხით გადასინჯვას საჭიროებს, სსბას 21-ის, *ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივები*, შესაბამისად.

შემდგომი დანახარჯები

23. მე-14 პუნქტში მოცემული აღიარების პრინციპის თანახმად, ერთეული ძირითადი აქტივების საბალანსო ღირებულებაში არ აღიარებს მისი ყოველდღიური მომსახურების დანახარჯებს. უფრო მეტიც, ეს თანხები აღიარებულია როგორც ნამეტი ან დეფიციტი აღიარების მომენტში. ყოველდღიური მომსახურების დანახარჯები, ძირითადად, არის შრომითი რესურსებისა და სახარჯი მარაგების თანხები და შესაძლოა ასევე მოიცავდეს მცირეფასიანი ნაწილების ღირებულებას. ეს დანახარჯები ხშირად აისახება როგორც ძირითადი აქტივების „რემონტი და მომსახურება“.

24. ძირითადი აქტივების ზოგიერთი ობიექტის შემადგენელი ნაწილი შესაძლოა საჭიროებდეს რეგულარულ შეცვლას. მაგალითად, გზა შესაძლოა საჭიროებდეს ხელახლა მოასფალტებას, ყოველ რამოდენიმე წელიწადში, ქურა შესაძლოა საჭიროებდეს ფითლის ცვლას რამოდენიმე განსაზღვრული საათით გამოყენების შემდეგ, ან თვითმფრინავის ინტერიერი, როგორცაა სავარძლები და სამზარეულო, შესაძლოა საჭიროებდეს შეცვლას რამდენჯერმე თვითმფრინავის არსებობის განმავლობაში. ძირითადი აქტივების ობიექტები შესაძლოა საჭიროებდეს ასევე პერიოდულ შეცვლას უფრო ნაკლები სიხშირით. მაგალითად, შენობის შიდა კედლების შეცვლა, ან რაიმე ცვლილება, რომელსაც განმეორებითი ხასიათი არ აქვს. აღიარების პრინციპის გათვალისწინებით, მე-14 პუნქტის თანახმად, ერთეული ძირითადი აქტივების ობიექტის შეცვლის ღირებულებას

საბალანსო ღირებულებაში აღიარებს მაშინ, როდესაც ხარჯი გაწეულია, თუ სახეზეა აღიარების კრიტერიუმებთან შესაბამისობა. იმ ნაწილების საბალანსო ღირებულებასთან მიმართებით, რომლებიც შეცვლილია, აღიარება წყდება წინამდებარე სტანდარტით გათვალისწინებული აღიარების შეწყვეტის დებულებების შესაბამისად (იხ. 82-ე-87-ე პუნქტები).

25. ძირითადი აქტივების ობიექტის (მაგალითად, თვითმფრინავის) უწყვეტი მუშაობისათვის, შესაძლოა აუცილებელი იყოს პერიოდული სრულმასშტაბიანი ინსპექტირების ჩატარება ხარვეზების გამოსავლენად, მიუხედავად იმისა, ამ ობიექტის ნაწილები შეიცვლება თუ არა. როდესაც ასეთი სრულმასშტაბიანი შემოწმებები ტარდება, მისი ღირებულება აისახება ძირითადი აქტივების ობიექტის საბალანსო ღირებულებაში, როგორც შემცვლელი, თუ აკმაყოფილებს აღიარების კრიტერიუმებს. შესაბამისად, წყდება წინა შემოწმების ღირებულების ნარჩენი საბალანსო ღირებულების (როგორც ფიზიკური ნაწილებისაგან განსხვავებული) აღიარება. ეს ხდება მიუხედავად იმისა, წინა ინსპექტირების თანხა ასახული იყო თუ არა ობიექტის შეძენისა თუ შექმნის ოპერაციის ღირებულებაში. საჭიროების შემთხვევაში, მომავალში განსახორციელებელი მსგავსი ინსპექტირების სავარაუდო ღირებულება შესაძლოა გამოყენებული იქნას, იმის ინდიკატორად, თუ რა იყო მიმდინარე ინსპექტირების კომპონენტის ღირებულება, ობიექტის შეძენის ან შექმნის მომენტში.

შეფასება და აღიარება

26. **ძირითადი აქტივი, რომელიც აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს, უნდა შეფასდეს თვითღირებულებით.**
27. **როდესაც აქტივის შეძენა არ ხდება გაცვლითი ოპერაციის მეშვეობით, მისი თვითღირებულება განისაზღვრება შეძენის თარიღისთვის დადგენილი სამართლიანი ღირებულებით.**
28. ძირითადი აქტივის შეძენა შესაძლებელია არ მოხდეს გაცვლითი ოპერაციის მეშვეობით. მაგალითად, საპროექტო ორგანიზაციამ შესაძლებელია მიწის ნაკვეთი გადასცეს ადგილობრივ ხელისუფლებას უსასყიდლოდ ან ნომინალურ ფასად, რათა ამ უკანასკნელმა განახორციელოს პარკების, გზებისა და სავალი ბილიკების მშენებლობა, ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით. არაგაცვლითი ოპერაციით აქტივის შეძენა აგრეთვე შესაძლებელია ქონების კონფისკაციის უფლების გამოყენების გზით. ასეთ შემთხვევაში, აქტივის თვითღირებულება იქნება შეძენის თარიღისთვის განსაზღვრული სამართლიანი ღირებულება.
30. წინამდებარე სტანდარტის მიზნებისთვის, უსასყიდლოდ ან ნომინალურ ფასად შეძენილი ძირითადი აქტივის სამართლიანი

ღირებულებით შეფასება მისი აღიარებისას, 27-ე პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, არ მიიჩნევა გადაფასებად. შესაბამისად, გადაფასებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, რომლებიც მოცემულია 44-ე პუნქტში და ასევე 45-ე-50-ე პუნქტებში მოცემული შესაბამისი კომენტარები ეხება მხოლოდ ისეთ შემთხვევას, როდესაც ერთეული ძირითადი აქტივის გადაფასებას გადაწყვეტს მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში.

თვითღირებულების ელემენტები

30. ძირითადი აქტივის თვითღირებულება მოიცავს:

- (ა) მისი შესყიდვის ფასს, საიმპორტო ბაჟისა და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადების ჩათვლით, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობისა და სხვა შედავათების გარეშე;
- (ბ) ნებისმიერ დანახარჯს, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილზე მიტანასთან და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისთვის ამ აქტივის გამოსაყენებლად;
- (გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და მისი ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველ შეფასებას, რომელთა გაწევის ვალდებულებას ერთეული თავის თავზე იღებს შეძენის მომენტში, ან მას შემდეგ, რაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში აქტივს, მატერიალური მარაგების წარმოების გარდა, რაიმე სხვა მიზნით გამოიყენებს.

31. აქტივის შეძენასთან პირდაპირ დაკავშირებული დანახარჯების მაგალითებია:

- (ა) დანახარჯები დაქირავებულ მომუშავეთა სარგებელზე (როგორც ეს განსაზღვრულია სსბასს 39-ში, *დაქირავებულთა სარგებელი*, რომელიც უშუალოდ წარმოიქმნება ძირითადი აქტივის შექმნის ან შეძენის შედეგად;
- (ბ) ადგილმდებარეობის მომზადების დანახარჯები;
- (გ) აქტივის ადგილზე მიტანისა და დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯები;
- (დ) მონტაჟისა და აწყობის დანახარჯები;
- (ე) აქტივის სათანადოდ მუშაობის დასადგენად ჩატარებულ გამოცდასთან დაკავშირებული დანახარჯები, წმინდა შემოსავლების გამოკლებით, რომელიც მიიღება დანიშნულების ადგილზე მიტანილი და სამუშაო მზადყოფნაში მოყვანილი აქტივისგან წარმოებული პროდუქციის (როგორცაა, მანქანა-

დანადგარის გამოცდისას წარმოებული ნიმუშები) გაყიდვიდან;
და

(ვ) პროფესიული მომსახურების საფასური.

32. ერთელმა უნდა იხელმძღვანელოს სსბასს 12-ით, *მატერიალური მარაგები* აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის ვალდებულებებთან დაკავშირებული დანახარჯებისთვის, რომლებიც გარკვეულ პერიოდში იქნება გაწეული იმის გამო, რომ აქტივი მოცემული პერიოდის განმავლობაში გამოყენებული იყო მატერიალური მარაგების საწარმოებლად. სსბასს 12-ისა და სსბასს 17-ის შესაბამისად აღრიცხულ ვალდებულებებთან დაკავშირებული დანახარჯების აღიარება და შეფასება ხდება სსბასს 19-ის, *ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები*, მიხედვით.

33. ძირითადი აქტივის თვითღირებულება არ მოიცავს:

(ა) ახალი სიმძლავრეების ათვისების დანახარჯებს;

(ბ) ახალი პროდუქციის ან მომსახურების ათვისების დანახარჯებს (სარეკლამო საქმიანობის დანახარჯების ჩათვლით);

(გ) ახალ ადგილზე ან მომხმარებლების ახალ ჯგუფთან ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს (პერსონალის სწავლების დანახარჯების ჩათვლით); და

(დ) ადმინისტრაციულ და სხვა საერთო ზედნადებ ხარჯებს.

34. ძირითადი აქტივის საბალანსო ღირებულებაში დანახარჯების აღიარება მაშინ შეწყდება, როდესაც იგი უკვე მიტანილია დანიშნულების ადგილზე და ისეთ სამუშაო მდგომარეობაშია მოყვანილი, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისთვის ამ აქტივის გამოსაყენებლად. შესაბამისად, ძირითადი აქტივის გამოყენებასთან ან მის ხელახალ გადაადგილებასთან დაკავშირებული დანახარჯები არ აისახება საბალანსო ღირებულებაში. მაგალითად, ძირითადი აქტივის საბალანსო ღირებულებაში არ შევა შემდეგი დანახარჯები:

(ა) იმ დროს გაწეული დანახარჯები, როდესაც აქტივს უკვე შეუძლია მუშაობა ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაფერისად, მაგრამ ჯერ არ არის ექსპლუატაციაში შესული, ან არ მუშაობს სრული დატვირთვით.

(ბ) საწყისი საექსპლუატაციო დანაკარგები, როგორცაა, დანახარჯები, რომლებიც გაწეულია მანამ, სანამ აქტივის მიერ წარმოებულ პროდუქციაზე მოთხოვნა იზრდება; და

(გ) ერთეულის ოპერაციების მთლიანი ან ნაწილობრივი რეორგანიზაციის, ან ადგილმდებარეობის შეცვლის დანახარჯები..

35. ძირითადი აქტივის შექმნასთან ან მოდერნიზაციასთან დაკავშირებით ადგილი აქვს ზოგიერთ ოპერაციას, რომელიც საჭირო არ არის აქტივის დანიშნულების ადგილზე მისატანად და ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად მის გამოსაყენებლად. ასეთი შემთხვევითი ოპერაციები შეიძლება შესრულდეს ძირითადი აქტივის შექმნამდე ან მოდერნიზაციამდე, ან მისი შექმნის ან მოდერნიზაციის პროცესში. მაგალითად, შემოსავლის მიღება შესაძლებელია სამშენებლო მოედნის ავტოსადგომად გამოყენების გზით შენობის მშენებლობის დაწყებამდე. ვინაიდან შემთხვევითი ოპერაციები აუცილებელი არ არის ძირითადი აქტივის დანიშნულების ადგილზე მისატანად და ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად მის გამოსაყენებლად, ამგვარ შემთხვევით ოპერაციებთან დაკავშირებული ამონაგები და ხარჯები აღიარდება, როგორც ნამეტი ან დეფიციტი და აისახება შემოსავლისა და ხარჯების შესაბამის კლასიფიკაციაში.
36. ერთეულის მიერ შექმნილი აქტივის თვითღირებულება შეძენილი აქტივის თვითღირებულების ანალოგიურად განისაზღვრება. თუ ერთეული მსგავს აქტივებს სარეალიზაციოდ აწარმოებს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, ასეთ აქტივს ისეთივე თვითღირებულება ექნება, რაც სარეალიზაციოდ შექმნილ აქტივს (იხილეთ სსბასს 12). შესაბამისად, ერთეულის მიერ შექმნილი აქტივის თვითღირებულების გამოთვლისას გამოირიცხება ნებისმიერი შიდა მეტობა. ანალოგიურად, ერთეულის მიერ შექმნილი აქტივის თვითღირებულებაში არ გაითვალისწინება ნედლეულისა და მასალების, შრომითი, ან სხვა რესურსების ზენორმატიული დანახარჯები. სსბასს 5, *სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები*, ადგენს კრიტერიუმებს ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც პროცენტი აღიარდება, როგორც ერთეულის მიერ შექმნილი ძირითადი აქტივის საბალანსო ღირებულების კომპონენტი.
- 36ა. ნაყოფის მომცემი კულტურები იმავე მეთოდით აღირიცხება, როგორც ერთეულის მიერ აშენებული ძირითადი აქტივები, იმ მომენტამდე, სანამ არ მიიტანენ იმ ადგილას და არ მოიყვანენ ისეთ მდგომარეობაში, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად მათ გამოსაყენებლად. შესაბამისად, წინამდებარე სტანდარტში მითითებები „მშენებლობაზე“ ისე უნდა იქნეს წაკითხული, რომ იგულისხმებოდეს ისეთი საქმიანობებიც, რაც აუცილებელია ნაყოფის მომცემი კულტურების მოსაყვანად, იმ მომენტამდე, სანამ არ მიიტანენ იმ

ადგილას და არ მოიყვანენ ისეთ მდგომარეობაში, რაც აუცილებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად მათ გამოსაყენებლად.

თვითღირებულების განსაზღვრა

37. ძირითადი აქტივის თვითღირებულება წარმოადგენს აღიარების თარიღისთვის ფულადი სახსრებით გადასახდელი ფასის ეკვივალენტს, ან 27-ე პუნქტში მითითებული ძირითადი აქტივის შემთხვევაში, აღიარების თარიღისთვის დადგენილ მის სამართლიან ღირებულებას. თუ გადახდა გადავადებულია და გადავადების პირობები სცილდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების ფარგლებს, მაშინ სხვაობა ფულადი სახსრების გადასახდელი ფასის ეკვივალენტსა და მთლიანად გადასახდელ თანხას შორის აღიარდება, როგორც პროცენტი კრედიტის ვადის განმავლობაში, თუ ეს პროცენტი აღიარებული არ არის ძირითადი აქტივის საბალანსო ღირებულებაში, სხვათა შორის 5-ით განსაზღვრული ნებადართული ალტერნატიული მიდგომის შესაბამისად.
38. ერთი ან მეტი ძირითადი აქტივის შემენა შესაძლებელია არაფულად აქტივზე ან აქტივებზე, ან ერთობლივად ფულად და არაფულად აქტივებზე გაცვლის გზით. შემდეგი მსჯელობა ეხება მხოლოდ ერთი არაფულადი აქტივის მეორეზე გაცვლას, მაგრამ ასევე შესაფერისია ყველა გაცვლითი ოპერაციისთვის, რომლებიც აღწერილი იყო წინა წინადადებაში. ასეთი ძირითადი აქტივების თვითღირებულება განისაზღვრება სამართლიანი ღირებულებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც (ა) გაცვლის ოპერაციას არა აქვს კომერციული შინაარსი, ან (ბ) როდესაც არც მიღებული და არც გაცემული აქტივის სამართლიანი ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელი არ არის. შემენილი აქტივის შეფასებაც ანალოგიურად ხდება, მაშინაც კი, როდესაც ერთეულს არ შეუძლია გაცემული აქტივის აღიარების დაუყოვნებლივ შეწყვეტა. თუ შემენილი აქტივის შეფასება არ ხდება სამართლიანი ღირებულებით, მისი თვითღირებულება განისაზღვრება გაცემული აქტივის საბალანსო ღირებულებით.
39. ერთეული, იმის გათვალისწინებით, რამდენად შეიძლება შეიცვალოს გაცვლითი ოპერაციის შედეგად მისი სამომავლო ფულადი სახსრების ნაკადები ან მომსახურების პოტენციალი, განსაზღვრავს, აქვს თუ არა გაცვლის ოპერაციას კომერციული შინაარსი. გაცვლით ოპერაციას კომერციული შინაარსი აქვს, თუ:
 - (ა) მიღებული აქტივის ფულადი სახსრების ნაკადების ან მომსახურების პოტენციალის შემადგენლობა (რისკი, დრო და თანხა) განსხვავდება გადაცემული აქტივის ფულადი

სახსრების ნაკადების ან მომსახურების პოტენციალის შემადგენლობისგან;

- (ბ) განხორციელებული გაცვლის ოპერაციის შედეგად იცვლება ერთეულის საქმიანობის იმ ნაწილის სპეციფიკური ღირებულება (რომელიც მოცემული ერთეულისთვის არის დამახასიათებელი), რომელზეც გავლენა იქონია ამ ოპერაციამ; და
- (გ) (ა) ან (ბ) პუნქტებში აღწერილი თანხები მნიშვნელოვნად განსხვავდება გაცვლილი აქტივების სამართლიანი ღირებულებისგან.

იმის დასადგენად, აქვს თუ არა გაცვლით ოპერაციას კომერციული შინაარსი, ერთეულის საქმიანობის იმ ნაწილის სპეციფიკურმა ღირებულებამ, რომელზეც გავლენას ახდენს მოცემული ოპერაცია, უნდა ასახოს დაბეგვრის შემდგომი ფულადი სახსრების ნაკადები, თუ იგი დაბეგვრადია. ამგვარი ანალიზის შედეგი შესაძლებელია ნათელი გახდეს, ერთეულის მხრიდან დეტალური გამოთვლების ჩატარების გარეშეც.

- 40. აქტივის სამართლიანი ღირებულება, რომლისთვისაც შესადარისი საბაზრო გარიგებები არ არსებობს, საიმედოდ შეფასებადია იმ შემთხვევაში, თუ (ა) ასეთი აქტივის სამართლიანი ღირებულების გონივრული შეფასებების დიაპაზონში განსხვავება მნიშვნელოვანი არ არის, ან (ბ) შესაძლებელია ამ დიაპაზონის ფარგლებში სხვადასხვა შეფასებების ალბათობების საიმედოდ შეფასება და მისი გამოყენება აქტივის სამართლიანი ღირებულების დასადგენად. თუ ერთეულს შეუძლია საიმედოდ განსაზღვროს მიღებული და გაცემული აქტივის სამართლიანი ღირებულებები, მაშინ მიღებული აქტივის თვითღირებულების დასადგენად გამოიყენება გაცემული აქტივის სამართლიანი ღირებულება, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც მიღებული აქტივის სამართლიანი ღირებულება უფრო ნათელი და ადვილად დასადგენია.
- 41. თვითღირებულება ძირითადი აქტივისა, რომელიც მოიჯარის მფლობელობაშია ფინანსური იჯარის საფუძველზე, განისაზღვრება სსბასს 13-ის შესაბამისად.

აღიარების შემდგომი შეფასება

- 42. ერთეულმა თავის სააღრიცხვო პოლიტიკად უნდა აირჩიოს ან 43-ე პუნქტში მოცემული თვითღირებულების მოდელი, ან 44-ე პუნქტში მითითებული გადაფასების მოდელი და ეს პოლიტიკა გამოიყენოს ძირითადი აქტივების მთლიან ჯგუფთან მიმართებაში.

თვითღირებულების მოდელი

43. აქტივად აღიარების შემდეგ, ძირითადი აქტივი უნდა აღირიცხებოდეს თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს ნებისმიერი დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი.

გადაფასების მოდელი

44. აქტივად აღიარების შემდეგ, ძირითადი აქტივი, რომლის სამართლიანი ღირებულების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია, უნდა აღირიცხებოდეს გადაფასებული თანხით, რომელიც გადაფასების თარიღისთვის განსაზღვრული სამართლიანი ღირებულების ტოლია, შემდგომში დაგროვილი ნებისმიერი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. გადაფასებები უნდა ტარდებოდეს საკმარისი რეგულარულობით, რათა გადაფასებული აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს საანგარიშგებო თარიღისთვის მისი სამართლიანი ღირებულებისგან. ძირითადი აქტივების გადაფასების ბუღალტრული აღრიცხვის მიდგომა განსაზღვრულია 54-ე-56-ე პუნქტებში.
45. ქონების სამართლიანი ღირებულება, ჩვეულებრივ, განისაზღვრება შეფასებით, საბაზრო მტკიცებულებებზე დაყრდნობით. მანქანა-დანადგარებისა და მოწყობილობების სამართლიანი ღირებულება კი, საზოგადოდ, არის შეფასების გზით განსაზღვრული მათი საბაზრო ღირებულება. როგორც წესი, აქტივის ღირებულების შეფასებას ახორციელებს შემფასებლის პროფესიის წარმომადგენელი, რომელსაც გააჩნია აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია. მრავალი აქტივის სამართლიანი ღირებულების დადგენა ადვილია აქტიური და ლიკვიდური ბაზრის კოტირებული ფასების გამოყენებით. მაგალითად, ჩვეულებრივ, პრობლემას არ წარმოადგენს მიწის ნაკვეთის, არასპეციალიზებული შენობების, ავტომანქანებისა და მრავალი ტიპის მანქანა-დანადგარების მიმდინარე საბაზრო ფასების მოპოვება.
46. საჯარო სექტორის ზოგიერთი აქტივის საბაზრო ღირებულების დადგენა შესაძლოა რთული იყოს, იმის გამო, რომ არ არსებობს ამ აქტივებზე საბაზრო გარიგებები. საჯარო სექტორის ზოგიერთი ერთეული შეიძლება ასეთი აქტივების მნიშვნელოვან რაოდენობას ფლობდეს.
47. თუ ქონების რომელიმე ობიექტის საბაზრო ღირებულების დასადგენად არ არსებობს აქტიური და ლიკვიდური ბაზრის მტკიცებულებები, ასეთი ობიექტის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია მსგავსი მახასიათებლების მქონე, მსგავს გარემოებებში და ადგილმდებარეობაზე მყოფი ობიექტების სამართლიანი ღირებულების გათვალისწინებით. მაგალითად,

სახელმწიფოს თავისუფალი მიწის ნაკვეთის სამართლიანი ღირებულება, რომელიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში იყო მის საკუთრებაში და ამ პერიოდში მცირე რაოდენობის გარიგება განხორციელდა, შეიძლება შეფასდეს, მსგავს ადგილზე მდებარე და ანალოგიური თვისებებისა და ტოპოგრაფიული მახასიათებლების მქონე მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულების მიხედვით, რომლის შესახებაც არსებობს საბაზრო მტკიცებულებები. სპეციალიზებული შენობებისა და ადამიანის მიერ შექმნილი სხვა სტრუქტურების შემთხვევაში, სამართლიანი ღირებულების დადგენა შესაძლებელია ცვეთადი ჩანაცვლების ღირებულების, ან ალდგენითი ღირებულების, ან მომსახურების ერთეულების (შეფასების) მეთოდებით (იხილეთ სსბასს 21). ხშირ შემთხვევაში, აქტივის ცვეთადი ჩანაცვლების ღირებულების დადგენა შესაძლებელია ანალოგიური დარჩენილი მომსახურების პოტენციალის მქონე ანალოგიური აქტივის შესყიდვის ფასის მიხედვით აქტიურ და ლიკვიდურ ბაზარზე. ზოგ შემთხვევაში, აქტივის ზუსტი ანალოგის ხელახლა შექმნის ღირებულება მისი ჩანაცვლების ღირებულების საუკეთესო ინდიკატორია. მაგალითად, დანგრევის შემთხვევაში, პარლამენტის შენობა შეიძლება ხელახლა აშენდეს (ალდგეს), საზოგადოებისთვის მისი მნიშვნელობის გამო, ნაცვლად იმისა, რომ მოხდეს მისი ჩანაცვლება ალტერნატიული შენობით.

48. თუ არ არსებობს სამართლიანი ღირებულების საბაზრო მტკიცებულებები, მანქანა-დანადგარის სპეციფიკური ხასიათის გამო, ერთეულს მისი სამართლიანი ღირებულების დასადგენად შესაძლოა დასჭირდეს შეფასების სხვადასხვა მიდგომის, მაგალითად, აქტივის ანალოგის ხელახლა შექმნის ღირებულების, ცვეთადი ჩანაცვლების ღირებულების, ან ალდგენითი ღირებულების, ან მომსახურების ერთეულების შეფასების მიდგომის გამოყენება (იხ. სსბასს 21). ამა თუ იმ მანქანა-დანადგარის ცვეთადი ჩანაცვლების ღირებულება შესაძლოა დადგინდეს ამ აქტივის შესაქმნელად გამოყენებული კომპონენტების შესყიდვის საბაზრო ფასით, ან იმავე ან ანალოგიური აქტივის ინდექსირებული ფასით, რომელიც ეყრდნობა წინა პერიოდის ფასს. ინდექსირებული ფასების მეთოდის გამოყენებისას აუცილებელია იმის გათვალისწინება, მნიშვნელოვნად შეიცვალა თუ არა პროდუქციის წარმოების ტექნოლოგია ამ პერიოდის განმავლობაში და არის თუ არა განსახილველი აქტივის სიმძლავრე ისეთივე, როგორც შესაფასებელი აქტივის.

49. გადაფასების სიხშირე დამოკიდებულია გადასაფასებელი ძირითადი აქტივის სამართლიანი ღირებულების ცვლილებებზე. როდესაც გადაფასებული აქტივის სამართლიანი ღირებულება არსებითად განსხვავდება მისი საბალანსო ღირებულებისგან, აუცილებელია აქტივის შემდგომი გადაფასება. ზოგიერთი ძირითადი აქტივის სამართლიანი ღირებულება მნიშვნელოვან და არასტაბილურ ცვლილებებს განიცდის, რაც იწვევს ყოველწლიური გადაფასების

ჩატარების აუცილებლობას. ასეთი ხშირი გადაფასების ჩატარება აუცილებელი არ არის ისეთი ძირითადი აქტივებისთვის, რომელთა სამართლიანი ღირებულება უმნიშვნელოდ იცვლება; შესაბამისად, ასეთი ძირითადი აქტივის გადაფასება შეიძლება აუცილებელი იყოს მხოლოდ ყოველ 3-5 წელიწადში ერთხელ.

50. როდესაც ხდება ძირითადი აქტივების გადაფასება, აქტივის საბალანსო ღირებულება კორექტირდება გადაფასებულ ღირებულებამდე. გადაფასების თარიღისათვის აქტივი აისახება შემდეგი ორი მეთოდიდან ერთ-ერთის გამოყენებით:

(ა) აქტივის პირვანდელი ღირებულება კორექტირდება იმგვარად, რომ შესაბამისობაში იყოს აქტივის საბალანსო ღირებულების გადაფასებასთან. მაგალითად, პირვანდელი ღირებულება შეიძლება გადაანგარიშდეს დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების საფუძველზე, ან საბალანსო ღირებულების ცვლილების პროპორციულად. გადაფასების თარიღისთვის არსებული დაგროვილი ცვეთა კორექტირდება შემდეგ ორ სიდიდეს შორის სხვაობის თანხით: აქტივის პირვანდელი ღირებულება და აქტივის საბალანსო ღირებულება დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით; ან

(ბ) დაგროვილი ცვეთის თანხა აკლდება აქტივის პირვანდელ ღირებულებას.

დაგროვილი ცვეთის კორექტირების თანხა შეადგენს აქტივის საბალანსო ღირებულების ზრდის ან შემცირების თანხის ნაწილს, რომელიც აისახება 54-ე და 55-ე პუნქტების შესაბამისად.

51. როდესაც რომელიმე ძირითადი აქტივის გადაფასება ტარდება, აუცილებელია მთლიანად გადაფასდეს ძირითადი აქტივების ის ჯგუფი, რომელსაც ეს აქტივი მიეკუთვნება.

51ა. აქტივის გაუფასურების ზარალი და აქტივის გაუფასურების ზარალის ანულირება სსბასს 21-ის და სსბასს 26-ის, *ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივების გაუფასურება*, შესაბამისად აუცილებლად არ იწვევს აქტივთა იმ კლასის გადაფასების საჭიროებას, რომელსაც ეკუთვნის ეს აქტივი, ან აქტივების ჯგუფი.

52. ძირითადი აქტივების ჯგუფი წარმოადგენს მსგავსი ბუნების, ან ერთეულის საქმიანობაში გამოყენების თვალსაზრისით, მსგავსი ფუნქციის მქონე აქტივების ჯგუფს. აქტივების სხვადასხვა ჯგუფების მაგალითებია:

(ა) მიწა;

(ბ) საექსპლუატაციოდ განკუთვნილი შენობა-ნაგებობები;

- (გ) გზები;
- (დ) მანქანა-დანადგარები;
- (ე) ელექტროგადამცემი ქსელები;
- (ვ) გემები;
- (ზ) თვითმფრინავი
- (თ) შეიარაღების სისტემები;
- (ი) ავტომანქანები;
- (კ) ავეჯი და მოწყობილობა;
- (ლ) საოფისე მოწყობილობა; და
- (მ) ნავთობის საბურღი მოწყობილობა.
- (ნ) ნაყოფის მომცემი კულტურები.

53. ერთ ჯგუფში გაერთიანებული ძირითადი აქტივების ობიექტთა გადაფასება ხდება ერთდროულად, რათა თავიდან იქნას აცილებული აქტივების შერჩევითი გადაფასება და ფინანსურ ანგარიშგებაში იმ თანხების ასახვა, რომლებიც სხვადასხვა თარიღებით შეფასებული დანახარჯებისა და ღირებულებების ნაერთს წარმოადგენს. ამასთან, ამა თუ იმ ჯგუფის აქტივების გადაფასება შესაძლოა რეგულარულად განხორციელდეს იმ პირობით, მოცემული ჯგუფის აქტივების გადაფასება მოკლე დროში თუ დასრულდება და მუდმივად განახლდება.
54. თუ გადაფასების შედეგად ერთ ჯგუფში გაერთიანებული აქტივების საბალანსო ღირებულება იზრდება, ნამეტი პირდაპირ უნდა აღიარდეს გადაფასების რეზერვში. ამასთან, გადაფასების რეზერვის აღიარება ნამეტში ან დეფიციტში უნდა მოხდეს იმ ოდენობით, რამდენიც საჭიროა იმავე ჯგუფის აქტივების ღირებულების გადაფასების შედეგად შემცირებული თანხის აღსადგენად, რომელიც ადრე აღიარებული იყო ნამეტში ან დეფიციტში.
55. თუ გადაფასების შედეგად ერთ ჯგუფში გაერთიანებული აქტივების საბალანსო ღირებულება მცირდება, აქტივების ღირებულების შემცირების აღიარება უნდა მოხდეს ნამეტში ან დეფიციტში. ამასთან, გადაფასების შედეგად წარმოშობილი ღირებულების შემცირებით პირდაპირ უნდა დადებუტდეს გადაფასების რეზერვი იმ ოდენობით, რა სიდიდის საკრედიტო ნაშთიც არსებობს გადაფასების რეზერვის ანგარიშზე, ამავე აქტივების გადაფასების ნამეტის აღიარების შედეგად.
56. ერთ ჯგუფში გაერთიანებული ძირითადი აქტივების ცალკეულ აქტივებთან დაკავშირებული გადაფასების ზრდა და შემცირება ურთიერთჩათვლილი უნდა იქნეს ერთმანეთის მიმართ ერთსა და

იმავე ჯგუფში, ამასთან, ურთიერთჩათვლა არ უნდა მოხდეს სხვადასხვა ჯგუფში გაერთიანებულ აქტივებთან მიმართებაში.

57. ძირითადი აქტივების გადაფასების ნამეტი, რომელიც ნაწილობრივ ან მთლიანად ჩართულია წმინდა აქტივებში/ვაპიტალში,, აქტივების აღიარების შეწყვეტისას შესაძლოა პირდაპირ გადატანილ იქნას დაგროვილ ნამეტში ან დეფიციტში. ეს შეიძლება მოიცავდეს გადაფასების რეზერვის ნაწილობრივ ან მთლიანად გადატანას, როდესაც ხდება ძირითადი აქტივების ერთ ჯგუფში გაერთიანებული აქტივების, რომელთაც ეხება გადაფასების რეზერვი, მოხმარებიდან ამოღება ან გაყიდვა. ამასთან, გადაფასების რეზერვის ნაწილი შესაძლოა გადატანილი იყოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც ერთეული განაგრძობს აქტივების გამოყენებას. ასეთ შემთხვევაში, გადატანილი რეზერვის თანხა აქტივების გადაფასებული საბალანსო ღირებულებისა და თავდაპირველი თვითღირებულების საფუძველზე გაანგარიშებული ცვეთის თანხებს შორის სხვაობის ტოლია. გადაფასების რეზერვის გადატანა დაგროვილ ნამეტში ან ზარალში არ ხდება თვით ნამეტის ან დეფიციტის მეშვეობით.
58. ძირითადი აქტივების გადაფასების შედეგად მიღებულ ნამეტზე, თუკი ასეთს აქვს ადგილი, დაწესებული გადასახადების ზეგავლენაზე მითითებების მოძიება შეიძლება შესაბამის საერთაშორისო თუ ეროვნული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტებში, რომლებიც მოგების გადასახადს ეხება.

ცვეთა

59. ძირითადი აქტივების ობიექტის თითოეულ ნაწილს, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი ღირებულება ობიექტის მთლიან ღირებულებასთან მიმართებაში, ცვეთა ცალ-ცალკე ერიცხება.
60. ერთეული ძირითადი აქტივების ცალკეული ობიექტის თავდაპირველად აღიარებული თანხიდან გამოყოფს მნიშვნელოვანი ღირებულების მქონე ნაწილებს, და თითოეულ ასეთ ნაწილს ცვეთას ცალკე აღრიცხავს. მაგალითად, უმეტეს შემთხვევაში, საგზაო სისტემის ნაწილებზე, როგორცაა ხელოვნური საფარები, ტროტუარი, ხიდეები, სადრენაჟო ან წყალსაწრეტი სისტემები და გზების განათებები, ერთეულებს ცვეთის დარიცხვა ცალ-ცალკე მოეთხოვებათ. ანალოგიურად, შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს, რომ თვითმფრინავის კორპუსი და მისი ძრავები ჩაითვალოს განსხვავებულ ცვეთად აქტივებად, მიუხედავად იმისა, იგი ერთეულის საკუთრებაა, თუ ფინანსური იჯარის ობიექტი. ანალოგიურად, თუ ერთეული იძენს ძირითად აქტივს, რომელიც საოპერაციო იჯარის ობიექტია და იგი არის მეიჯარე, შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს ცვეთის ცალკე დარიცხვა მის

თვითღირებულებაში ასახულ ისეთ თანხებზე, რომლებიც მისაკუთვნიებულია საბაზრო პირობებთან შედარებით ხელსაყრელ ან არახელსაყრელ საიჯარო პირობებზე.

61. ძირითადი აქტივის ობიექტის სხვადასხვა მნიშვნელოვანი ღირებულების მქონე შემადგენელ ნაწილს შეიძლება გააჩნდეს ერთი და იგივე სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის მეთოდი. ასეთი ნაწილები ცვეთის ხარჯის განსაზღვრისას შესაძლოა ერთად დაჯგუფდეს.
62. რამდენადაც ყოველი ერთეული ძირითადი აქტივების ცალკეული ერთეულის მნიშვნელოვანი ღირებულების მქონე ნაწილებს ცვეთას ცალკე აღრიცხავს, ასევე ცალკე ხდება ცვეთის დარიცხვა იმავე ობიექტის დანარჩენ ნაწილებზეც. დანარჩენ ნაწილებს შეადგენს ობიექტის ის ნაწილები, რომლებიც ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი არ არის. თუ ერთეულს ამ ნაწილებთან დაკავშირებით განსხვავებული გეგმები გააჩნია, ცვეთის დარიცხვის მიზნით შესაძლოა აუცილებელი გახდეს ცვეთის დარიცხვის მიახლოებითი გაანგარიშების მეთოდის გამოყენება, რომელიც სამართლიანად ასახავს ერთეულის დანარჩენი ნაწილების გამოყენების სპეციფიკას, ან/და სასარგებლო მომსახურების ვადას.
63. ერთეულმა შესაძლოა აირჩიოს ცვეთის ცალკე დარიცხვა აქტივის იმ ნაწილებზე, რომელთა თვითღირებულება მნიშვნელოვანი არ არის აქტივის მთლიან თვითღირებულებასთან მიმართებაში.
64. **თითოეული პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარებული უნდა იყოს ნამეტში ან დეფიციტში, თუ ის ჩართული არ არის სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.**
65. ამა თუ იმ პერიოდის ცვეთის ხარჯის აღიარება ხდება ნამეტის ან დეფიციტის ნაწილში. თუმცა, ზოგჯერ აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი ან/და მომსახურების პოტენციალი ერთეულის მიერ სხვა აქტივების საწარმოებლად გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში, ცვეთის ხარჯი წარმოებული აქტივის თვითღირებულების ნაწილს შეადგენს და ჩართულია მის საბალანსო ღირებულებაში. მაგალითად, საწარმოო დანიშნულების მანქანა-დანადგარების ცვეთის თანხა ჩაირთვება მარაგების წარმოების თვითღირებულებაში (იხ. სსბასს 12). ანალოგიურად, საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაოებისათვის გამოყენებული ძირითადი აქტივების ცვეთის თანხა შეიძლება ჩაირთოს არამატერიალური აქტივების თვითღირებულებაში, რომლის აღიარება ხდება სსბასს 31-ის - *არამატერიალური აქტივები*, შესაბამისად.

ცვეთადი ღირებულება და ცვეთის პერიოდი

66. აქტივის ცვეთადი ღირებულება უნდა განაწილდეს სისტემატიურ საფუძველზე, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

67. აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადა ყოველი ფინანსური წლის ბოლოს მაინც უნდა გადაისინჯოს, და თუ მოსალოდნელი შედეგები წინა შეფასებებისაგან განსხვავდება, ცვლილებები უნდა აისახოს როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება, სსბასს 3-ის - *სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები* - შესაბამისად.
68. ცვეთის დარიცხვა ხდება მაშინაც, როცა აქტივის სამართლიანი ღირებულება აღემატება საბალანსო ღირებულებას, სანამ ნარჩენი ღირებულება არ გადააჭარბებს საბალანსო ღირებულებას. რემონტი და ექსპლუატაციის ხარჯების გაწევა ცვეთის დარიცხვის საჭიროებას არ გამორიცხავს. პირიქით, ზოგიერთ აქტივს გეგმიური შეკეთება შესაძლოა არადამაკმაყოფილებლად ჩაუტარდეს, ან შესაძლოა განუსაზღვრელი ვადით გადაიდოს ბიუჯეტზე დაწესებული შეზღუდვების გამო. როდესაც აქტივის მართვის პოლიტიკა კიდევ უფრო აძლიერებს აქტივის ფიზიკური ცვეთის პროცესს, მისი სასარგებლო მომსახურების ვადა კიდევ ერთხელ უნდა შეფასდეს და შესაბამისად შეიცვალოს.
69. აქტივის ცვეთადი ღირებულება მისი ნარჩენი ღირებულების გამოკლების შემდეგ განისაზღვრება. პრაქტიკაში ხშირად აქტივის ნარჩენი ღირებულება უმნიშვნელოა და შესაბამისად, ცვეთადი თანხის გაანგარიშებაში არსებითი დატვირთვა არ გააჩნია.
70. აქტივის ნარჩენი ღირებულება შეიძლება გაიზარდოს ისეთ თანხამდე, რომელიც უტოლდება ან აღემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას. თუ ასეთ შემთხვევებს აქვთ ადგილი, ცვეთის ხარჯი ნულს გაუტოლდება, სანამ ნარჩენი ღირებულება არ დაიწევს აქტივის საბალანსო ღირებულებაზე დაბლა.
71. ცვეთა აქტივს მას შემდეგ ერიცხება, როცა შესაძლებელი ხდება მისი გამოყენება, ანუ როდესაც აქტივი არის იმ ადგილას და ისეთ მდგომარეობაში, რომელიც აუცილებელია მენეჯმენტის მიერ განსაზღვრული მიზნებისა და დანიშნულების მისაღწევად. აქტივს ცვეთა მას შემდეგ აღარ ერიცხება, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა. ამგვარად, ცვეთის დარიცხვა არ წყდება, როდესაც აქტივი ხდება გამოუყენებელი, ან აქტიური მოხმარებიდან გამოსულია, სანამ აქტივს სრულიად არ დაერიცხება ცვეთა. ამასთან, ცვეთის მეთოდების გამოყენების გათვალისწინებით, პროდუქციის გამოშვებამდე ცვეთის ხარჯი შეიძლება იყოს ნულის ტოლი.
72. ერთეულის მიერ ძირითად აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის გამოყენება, ძირითადად, აქტივის ექსპლუატაციის გზით ხდება. თუმცა სხვა ფაქტორები, როგორცაა ტექნიკური მოძველება და

ფიზიკური ცვეთა, აქტივის გამოუყენებლობის პერიოდში ხშირად იწვევს იმ ეკონომიკური სარგებლისა და მომსახურების პოტენციალის შემცირებას, რომლის მიღებასაც ერთეული გეგმავდა აქტივისაგან. შესაბამისად, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დადგენისას, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი ფაქტორი:

- (ა) ერთეულის მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენება. გამოყენებას განსაზღვრავს აქტივის სავარაუდო სიმძლავრე და ფიზიკურად გამოშვებული პროდუქცია;
- (ბ) აქტივის მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა და მოძველება, რომელიც დამოკიდებულია ისეთ საწარმოო ფაქტორებზე, როგორცაა: ცვლების რაოდენობა, გეგმიური შეკეთების სამუშაოების გეგმა და კონსერვაციის რეჟიმში მყოფი აქტივების შენახვა და შეკეთება.
- (გ) ტექნიკური და კომერციული მოძველება, რომელიც გამოწვეულია საწარმოო პროცესის ცვლილებით და გაუმჯობესებით. ან მოცემული აქტივის მეშვეობით წარმოებულ პროდუქციაზე/მომსახურებაზე ბაზრის მოთხოვნის ცვლილებით. ამა თუ იმ აქტივის მეშვეობით წარმოებული პროდუქციის სამომავლო გასაყიდი ფასის მოსალოდნელი შემცირება შეიძლება აქტივის მოსალოდნელი ტექნოლოგიური ან კომერციული მოძველების მიმანიშნებელი იყოს, რაც, თავის მხრივ, შეიძლება მოწმობდეს აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის შემცირებას;
- (დ) აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები. მაგალითად, იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლა .

73. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ერთეულისათვის აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით. აქტივების მართვის პოლიტიკა შეიძლება გულისხმობდეს აქტივების გასვლას, გარკვეული დროის, ან აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის/მომსახურების პოტენციალის გარკვეული ნაწილის მოხმარების შემდეგ. აქედან გამომდინარე, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა შეიძლება მისი ეკონომიკური ვარგისიანობის ვადაზე ნაკლები აღმოჩნდეს. ძირითადი აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის დადგენა დამოკიდებულია ერთეულის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებაზე, რომელიც ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე ერთეულის გამოცდილებას.

74. მიწა და შენობები განიხილება დამოუკიდებელ აქტივებად და აღირიცხება ცალ-ცალკე მათი ერთად შექმნის შემთხვევაშიც კი. მიწას, ჩვეულებრივ, გააჩნია შეუზღუდავი მომსახურების ვადა და, შესაბამისად, ცვეთა არ ერიცხება, გარდა ზოგიერთი გამოწვევისა,

როგორცაა კარიერები და ნაგავსაყრელები. შენობებს შეზღუდული მომსახურების ვადა გააჩნიათ და, შესაბამისად, ცვეთად აქტივებად განიხილება. მიწის ღირებულების გაზრდა გავლენას არ ახდენს მასზე განთავსებული შენობების ცვეთადი ღირებულების განსაზღვრაზე.

75. თუ მიწის ღირებულება მოიცავს მოედნის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და აღდგენის დანახარჯებს, მიწის ღირებულების ამ ნაწილს ცვეთა დაერიცხება ამ დანახარჯების გაწევის შედეგად მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღების მთელი პერიოდის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში, მიწას თვითონ შეიძლება გააჩნდეს შეზღუდული მომსახურების ვადა, და ასეთ დროს დარიცხული ცვეთა უნდა ასახავდეს იმ სარგებელს და მომსახურების პოტენციალს, რომლის მიღებასაც ერთეული გეგმავს მიწიდან.

ცვეთის მეთოდი

76. ცვეთის გაანგარიშებისათვის გამოყენებულმა მეთოდმა უნდა ასახოს ერთეულის მიერ მოცემული აქტივიდან მისაღები ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღების თავისებურება ან სპეციფიკა.
77. აქტივისათვის დადგენილი ცვეთის დარიცხვის მეთოდი პერიოდულად, ფინანსური წლის ბოლოს მაინც უნდა გადაისინჯოს, და თუ აქტივში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღების ხასიათი მნიშვნელოვნად იცვლება, ასეთი ცვლილების ასახვის მიზნით ცვეთის დარიცხვის მეთოდიც უნდა შეიცვალოს. ეს ცვლილება აისახება, როგორც საადრიცხვო შეფასების ცვლილება, სსბასს 3-ის შესაბამისად.
78. აქტივების სასარგებლო მომსახურების განმავლობაში მათი ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე გასანაწილებლად შეიძლება გამოყენებულ იქნას ცვეთის დარიცხვის სხვადასხვა მეთოდი. ეს მეთოდები მოიცავს წრფივი ცვეთის მეთოდს, შემცირებადი ნაშთის მეთოდს და წარმოების ერთეულთა ჯამის მეთოდს. წრფივი მეთოდი გულისხმობს ცვეთის ერთი და იმავე თანხის დარიცხვას აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში. წარმოების ერთეულთა ჯამის მეთოდის გამოყენება ნიშნავს ცვეთის დარიცხვას აქტივების მოსალოდნელი გამოყენების, ან წარმოებული პროდუქციის საფუძველზე. ერთეული ირჩევს მეთოდს, რომელიც უფრო მეტად ასახავს აქტივში განივთებული მოსალოდნელი მომავალი ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღების მოდელს. ეს მეთოდი მუდმივად უნდა გამოიყენებოდეს პერიოდიდან პერიოდამდე, სანამ არ შეიცვლება მომავალი

ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღების მოდელი.

- 78ა. მიზანშეწონილი არაა ცვეთის ისეთი მეთოდის გამოყენება, რომელიც აქტივის მონაწილეობით განხორციელებული საქმიანობიდან მიღებულ შემოსავალს ეყრდნობა. აქტივის მონაწილეობით განხორციელებული საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი, როგორც წესი, სხვა ფაქტორებს ასახავს და არა აქტივში განივთებული ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მოხმარებას. მაგალითად, შემოსავალზე გავლენას ახდენს სხვა დანახარჯები და პროცესები, გაყიდვის პროცესთან დაკავშირებული საქმიანობები, ასევე გაყიდვების მოცულობისა და გასაყიდი ფასების ცვლილებები. შემოსავლის ფასის კომპონენტზე შეიძლება გავლენა მოახდინოს ინფლაციამ, რაც არანაირად არ არის დაკავშირებული აქტივის გამოყენების წესთან.

გაუფასურება

79. იმის დასადგენად, ძირითადი აქტივების ცალკეული ერთეული გაუფასურდა თუ არა, ერთეული საჭიროებისამებრ იყენებს სსბასს 21-ს ან სსბასს 26-ს, *ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივების გაუფასურება*“ აღნიშნული სტანდარტები განსაზღვრავენ, თუ როგორ ახდენს ერთეული თავისი აქტივების საბალანსო ღირებულების გადასინჯვას, როგორ განსაზღვრავს აქტივების აღდგენით ღირებულებას, ან მომსახურების აღდგენით ღირებულებას, და როდის აღიარებს ან წყვეტს გაუფასურების ზარალის აღიარებას.

გაუფასურების კომპენსაცია

80. ძირითადი აქტივების გაუფასურების, დაკარგვის ან გაცემის შემთხვევაში მესამე მხარეებიდან მიღებული კომპენსაცია შემოსავლის ან ხარჯის სახით უნდა ჩაირთოს ნამეტში ან დეფიციტში, როდესაც წარმოიშევა კომპენსაციის მოთხოვნა.
81. ძირითადი აქტივების ობიექტის გაუფასურება ან დაკარგვა, მესამე მხარის მიმართ კომპენსაციასთან დაკავშირებული შესაბამისი მოთხოვნები ან გადახდები, შემცვლელი აქტივების ნებისმიერი შემდგომი შესყიდვები და შექმნა დამოუკიდებელი ეკონომიკური მოვლენებია და დამოუკიდებლად აისახება შემდეგნაირად:
- (ა) ძირითადი აქტივების ობიექტთა გაუფასურების აღიარება საჭიროებისამებრ ხდება სსბასს 21-ის ან სსბასს 26-ის მიხედვით;
 - (ბ) ხმარებიდან ამოღებული ან გასული ძირითადი აქტივების ობიექტთა აღიარების შეწყვეტა წარმოებს წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად

- (გ) გაუფასურებული, დაკარგული ან გასული ძირითადი აქტივის ობიექტისათვის მესამე მხარეებისაგან მისაღები კომპენსაცია, როდესაც მასზე მოთხოვნა წარმოიშვება, ჩაირთვება ნამეტში ან დეფიციტში დადებითი თუ უარყოფითი შედეგის განსაზღვრისას;
- (დ) ძირითადი აქტივების ობიექტთა ღირებულება, რომელიც აღდგენილი, შექმნილი ან წარმოებულია როგორც შემცვლელი, განისაზღვრება წინამდებარე სტანდარტით.

აღიარების შეწყვეტა

82. ძირითადი აქტივების ობიექტის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება:
- (ა) მისი გასვლის შემთხვევაში;
 - (ბ) როდესაც მისი გასხვისებიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის/მომსახურების პოტენციალის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.
83. ძირითადი აქტივის ობიექტის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აქტივის აღიარების შეწყვეტისას უნდა ჩაირთოს ნამეტის ან დეფიციტის ნაწილში (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სსბასს 13 მოითხოვს განსხვავებულ მიდგომას აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვაზე).
- 83ა. ამასთან, ერთეული, რომელიც ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში რეგულარულად ყიდის ძირითადი აქტივების ობიექტებს, რომელსაც ფლობს იჯარით გასაცემად, ასეთი აქტივები უნდა გადაიტანოს მატერიალური მარაგების კატეგორიაში საბალანსო ღირებულებით, როდესაც შეწყდება მათი გაცემა იჯარით და ძირითადი აქტივი გადაიქცევა გასაყიდად გამიზნულად. ამგვარი აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი უნდა აღიარდეს როგორც შემოსავალი სსბასს 9-ის, *შემოსავალი გაცვლითი ოპერაციებიდან*, შესაბამისად.
84. ძირითადი აქტივის ობიექტის გასვლა შეიძლება მოხდეს სხვადასხვა გზით (მაგ., გაყიდვით, ფინანსური იჯარით დატვირთვით ან ჩუქებით). ობიექტის გასვლის თარიღის დადგენისას ერთეული ხელმძღვანელობს სსბასს 9-ში საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარებისათვის წარმოდგენილი კრიტერიუმით. საბასს 13 გამოიყენება აქტივის უკუიჯარის პირობით გაყიდვის შემთხვევაში
85. თუ ერთეული მე-14 პუნქტში მოცემული აღიარების პრინციპის შესაბამისად, ძირითადი აქტივების ცალკეული ობიექტის საბალანსო ღირებულებაში აღიარებს აღნიშნული ობიექტის ნაწილის გამოცვლის

ღირებულებას, მაშინ ხდება გამოცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარების შეწყვეტაც, იმისდა მიუხედავად, შეცვლილ ნაწილს ცვეთა ცალკე ერიცხებოდა თუ არა. თუ ერთეულისათვის არაპრაქტიკულია გამოცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების დადგენა, მან შეიძლება შემცვლელი აქტივის ღირებულება გამოიყენოს იმის მისანიშნებლად, თუ რა იყო შეცვლილი ნაწილის ღირებულება მისი შემენის ან შექმნის მომენტში.

86. მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი აქტივების ობიექტის აღიარების შეწყვეტისას, უნდა განისაზღვროს, როგორც სხვაობა წმინდა გასვლის ამონაგებსა (თუ ასეთი არსებობს) და მის საბალანსო ღირებულებას შორის.
87. ძირითადი აქტივების ობიექტის გასვლიდან მისადები საზღაური თავდაპირველად აღირიცხება მისი სამართლიანი ღირებულებით. თუ ამ ერთეულზე გადახდა გადავადებულია, მიღებული საზღაურის აღიარება თავდაპირველად ხდება თანდართული გადახდისას გადასახდელი ფასის ეკვივალენტით, საზღაურის ნომინალურ ღირებულებასა და თანდართული გადახდისას გადასახდელი ფასის ეკვივალენტს შორის სხვაობა აისახება, როგორც საპროცენტო შემოსავლები სსბასს 9-ის შესაბამისად, რომელიც ასახავს ფაქტობრივ შემოსავალს დებიტორულ დავალიანებებში .

განმარტებითი შენიშვნები

88. ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ძირითადი აქტივების ყოველი ჯგუფისათვის უნდა აისახოს შემდეგი ინფორმაცია:
- (ა) მთლიანი საბალანსო ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებული შეფასების საფუძველი;
 - (ბ) გამოყენებული ცვეთის დარიცხვის მეთოდები
 - (გ) აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა, ან გამოყენებული ცვეთის ნორმები;
 - (დ) მთლიანი საბალანსო ღირებულება და დაგროვილი ცვეთა (აგრეგირებული გაუფასურების დაგროვილ ზარალთან) პერიოდის დასაწყისში და ბოლოს; აგრეთვე
 - (ე) პერიოდის საწყისი და საბოლოო საბალანსო ღირებულებების შეჯერება, სადაც ნაჩვენები იქნება:
 - (i) მიღება;
 - (ii) გასვლა;
 - (iii) შექმნა ერთეულების გაერთიანების გზით;

- (iv) 44-ე, 54-ე და 55-ე პუნქტების თანახმად განხორციელებული გადაფასებების, აგრეთვე გაუფასურების ზარალის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) შედეგად აქტივების ღირებულების ზრდა ან კლება, რომელიც საჭიროებისამებრ სსბასს 21-ის ან სსბასს 26-ის შესაბამისად პირდაპირ არის აღიარებული ან გაუქმებული წმინდა აქტივების/კაპიტალის ღირებულებაში;
- (v) სსბასს 21-ის ან სსბასს 26-ის შესაბამისად ნამეტში ან დეფიციტის ნაწილში აღიარებული გაუფასურების ზარალი ;
- (vi) სსბასს 21-ის ან სსბასს 26-ის შესაბამისად ნამეტის ან დეფიციტის ნაწილში აღდგენილი გაუფასურების ზარალი;
- (vii) ცვეთა;
- (viii) ფინანსური ანგარიშგების სამუშაო ვალუტიდან განსხვავებულ საანგარიშგებო ვალუტაში გადაყვანის შედეგად წარმოქმნილი წმინდა საკურსო სხვაობები, ერთეულის საგარეო ოპერაციების საანგარიშგებო ვალუტაში გადაანგარიშების ჩათვლით;
- (ix) სხვა ცვლილებები.

89. ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი აქტივების აღიარებული თითოეული ჯგუფისთვის ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი ინფორმაცია:

- (ა) საკუთრების უფლებაზე არსებული შეზღუდვები და ვალდებულებების უზრუნველსაყოფად დაგირავებული ძირითადი აქტივების ღირებულება;
- (ბ) ძირითადი აქტივების ობიექტის წარმოებისას მის საბალანსო ღირებულებაში აღიარებული დანახარჯები;
- (გ) ძირითადი აქტივების შექმნის სახელშეკრულებო ვალდებულებები;
- (დ) მესამე მხარეებიდან მიღებული კომპენსაციის თანხა გაუფასურებულ, დაკარგულ ან გაცემულ ძირითად აქტივთა ობიექტებისათვის, რომელიც ჩართულია ნამეტში ან დეფიციტში და ცალკე არ არის წარმოდგენილი ფინანსური შედეგების ანგარიშგებაში.

90. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა და ცვეთის დარიცხვის მეთოდის შერჩევა განსჯის საგანია. აქედან გამომდინარე,

არჩეული მეთოდისა და გამოთვლილი სასარგებლო მომსახურების ვადის ან ცვეთის ნორმების შესახებ დართული ინფორმაცია ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას აძლევს შეაფასონ ერთეულის ხელმძღვანელობის მიერ არჩეული პოლიტიკა და შედარება გააკეთონ სხვა ერთეულთან. ამავე მიზნით აუცილებელია წარმოდგენილი იყოს შემდეგი ინფორმაცია:

(ა) ცვეთის თანხის შესახებ, რომელიც აღიარდა პერიოდის მოგებაში ან ზარალში ან სხვა აქტივის თვითღირებულების ნაწილად;

(ბ) აკუმულირებული ცვეთის თანხა პერიოდის ბოლოს

91. სსბასს 3-ის თანახმად, ერთეული ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენს სააღრიცხვო შეფასებაში განხორციელებული ცვლილების ხასიათსა და შედეგს, რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მიმდინარე პერიოდზე, ან მოახდენს მომავალ საანგარიშგებო პერიოდებზე. ძირითად აქტივებთან მიმართებაში ასეთი ინფორმაციის წარმოდგენის აუცილებლობა შეიძლება განაპირობოს შეფასებებში განხორციელებულმა შემდეგი სახის ცვლილებებმა:

(ა) ნარჩენი ღირებულების;

(ბ) დემონტაჟის, ლიკვიდაციის და ადგილმდებარეობის აღდგენის ხარჯების;

(გ) სასარგებლო მომსახურების ვადის;

(დ) ცვეთის დარიცხვის მეთოდის.

92. როდესაც ძირითადი აქტივების ჯგუფი ასახულია გადაფასებული ღირებულებით, საჭიროა შემდეგი ინფორმაციის წარმოდგენა:

(ა) გადაფასების თარიღი;

(ბ) მოწვეული იყო თუ არა დამოუკიდებელი შემფასებელი;

(გ) სამართლიანი ღირებულების განსაზღვრაში გამოყენებული მეთოდები, და მნიშვნელოვანი დაშვებები;

(დ) მასშტაბი, რომლითაც აქტივების სამართლიანი ღირებულება დადგინდა აქტიურ ბაზარზე ხელმისაწვდომ ფასებზე დაყრდნობით, ან გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით შესრულებული უკანასკნელი საბაზრო ოპერაციებიდან, ან შეფასებული იყო სხვა შეფასების მეთოდების გამოყენებით;

(ე) გადაფასებით მიღებული ნამეტი, როგორც საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი ცვლილების მაჩვენებელი და აქციონერთათვის ან კაპიტალის სხვა მფლობელებისათვის ნაშთის განაწილებაზე დაწესებული ნებისმიერი სახის შეზღუდვები;

(ვ) ერთ ჯგუფში გაერთიანებული ძირითადი აქტივების ცალკეული ობიექტის გადაფასებების ნამეტების ჯამი;

(ზ) ერთ ჯგუფში გაერთიანებული ძირითადი აქტივების ცალკეული ობიექტების გადაფასებების შემცირებების ჯამი.

93. ერთეული, გარდა 88 (ე) პუნქტის (iv)–(vi) მოთხოვნებისა, ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი აქტივების გაუფასურების შესახებ წარადგენს დამატებით ინფორმაციას სსბასს 21-ისა და სსბასს 26-ის შესაბამისად.

94. ერთეულის ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს შეიძლება გამოადგეთ ასევე შემდეგი ინფორმაცია:

(ა) დროებით გამოუყენებელი ძირითადი აქტივების საბალანსო ღირებულება;

(ბ) სრულად გაცვეთილი ძირითადი აქტივის მთლიანი საბალანსო ღირებულება, რომელიც ჯერ კიდევ გამოიყენება;

(გ) ძირითადი აქტივის საბალანსო ღირებულება, რომელიც გამოსულია აქტიური მოხმარებიდან და გამოიზნულია გასაყიდად;

(დ) თვითღირებულების მოდელის გამოყენებისას, ძირითადი აქტივის სამართლიანი ღირებულება, თუ იგი არსებითად განსხვავდება მისი საბალანსო ღირებულებისგან.

აქედან გამომდინარე, ერთეულებს ეძლევათ რეკომენდაცია, რათა მათ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოადგინონ აღნიშნული თანხები.

გარდამავალი დებულებები

95. [ამოღებულია]

96. [ამოღებულია]

97. [ამოღებულია]

98. [ამოღებულია]

99. [ამოღებულია]

100. [ამოღებულია]

101. [ამოღებულია]

102. [ამოღებულია]

103. [ამოღებულია]

104. [ამოღებულია]

105. იმ ერთეულებისათვის, რომელთაც ადრე გამოყენებული აქვთ სსზასს 17 (2001), 38-ე-მე-40 პუნქტების მოთხოვნები აქტივების გაცვლით ოპერაციაში შექმნილი ძირითადი აქტივის ობიექტის თავდაპირველი შეფასებისათვის, გამოყენებული უნდა იქნას მხოლოდ მომავალში განსახორციელებელი ოპერაციებისათვის.
106. სსზასს 17 (2001)-ის გარდამავალი დებულებების თანახმად, ერთეულებს ეძლევათ 5 წლამდე დრო იმისათვის, რომ აღიარონ ნებისმიერი ძირითადი აქტივი, განახორციელონ შესაბამისი შეფასება და განაცხადონ მათ შესახებ გამოყენების პირველივე დღიდან. ის ერთეულები, რომლებიც ადრევე იყენებდნენ სსზასს 17 (2001)-ს, შეუძლიათ კვლავაც ისარგებლონ ხუთწლიანი გარდამავალი პერიოდით, რომლის ათვლა სსზასს 17 (2001)-ის გამოყენების პირველი დღიდან იწყება. ამ ერთეულებმა ასევე უნდა განაგრძონ 104-ე პუნქტით განსაზღვრული განმარტებითი შენიშვნების გაკეთება.
- 106ა. 50-ე პუნქტი შეიცვალა 2015 წლის იანვარში სსზასს-ების გაუმჯობესების გამოცემის შედეგად. ერთეულმა უნდა გამოიყენოს აღნიშნული ცვლილებები ყველა გადაფასების მიმართ, რომელიც აღიარებულია იმ წლიურ პერიოდებში, რომლებიც იწყება ამ ცვლილების თავდაპირველი გამოყენების თარიღისათვის ან მის შემდგომ და უშუალო მის წინ პერიოდში.

ძალაში შესვლის თარიღი

107. ერთეული ვალდებულია გამოიყენოს წინამდებარე სტანდარტი იმ პერიოდებისთვის მომზადებული წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, რომელიც მოიცავს 2008 წლის 1 იანვრიდან, ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებულ პერიოდებს. რეკომენდებულია ვადაზე ადრე გამოყენება. თუ ერთეული წინამდებარე სტანდარტს გამოიყენებს 2008 წლის 1 იანვრამდე პერიოდისათვის, მან ამის შესახებ უნდა გაამჟღავნოს განმარტებით შენიშვნებში.
- 107ა. 2010 წლის იანვარში გამოცემულ *სსზასს-ების გაუმჯობესებაში* ჩაემატა 83ა პუნქტი და შეიცვალა 84-ე პუნქტი. ერთეული ვალდებულია განახორციელოს ეს ცვლილებები წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, რომელიც მოიცავს 2008 წლის 1 იანვრიდან, ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებულ პერიოდებს. რეკომენდებულია ვადაზე ადრე გამოყენება. თუ ერთეული აღნიშნულ ცვლილებებს გამოიყენებს 2008 წლის 1 იანვრამდე პერიოდისთვის, ერთეულმა უნდა გაამჟღავნოს აღნიშნული ფაქტი და ამავედროულად უნდა გამოიყენოს სსზასს 2-ში, *ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება*, შეტანილი ცვლილებები.
- 107ბ. 2010 წლის იანვარში გამოცემულ *სსზასს-ების გაუმჯობესების* თანახმად, შეიცვალა მე-8 პუნქტი. ერთეული ვალდებულია, განახორციელოს ეს ცვლილებები იმ წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, რომლებიც მოიცავს 2011 წლის 1 იანვრიდან ან

ამ თარიღის შემდგომ დაწყებულ პერიოდებს. უფრო ადრე გამოყენება რეკომენდებულია იმ შემთხვევაში, თუ ერთეული ამავედროულად იყენებს სსბასს 16-ის მე-12, მე-13, 29-ე, მე-40, 57-ე, 59-ე, 62-ე, 62 (ა), 62 (ბ), 63-ე, 66-ე და 101 (ა) პუნქტებში შეტანილ ცვლილებებს. თუ ერთეული აღნიშნულ ცვლილებებს გამოიყენებს 2011 წლის 1 იანვრამდე, მან უნდა გაამჟღავნოს აღნიშნული ფაქტი.

- 107გ. სსბასს 32-ის თანახმად, ცვლილებები იქნა შეტანილი 2011 წლის ოქტომბერში გამოცემულ სსბასს 32-ის, *შეღავათიანი მომსახურების შეთანხმებები: უფლების გადამცემი*, მე-5 და მე-7 პუნქტებში. ერთეული ვალდებულია, გამოიყენოს ეს ცვლილებები წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, რომელიც მოიცავს 2014 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებულ პერიოდებს. უფრო ადრე გამოყენება რეკომენდებულია. თუ ერთეული აღნიშნულ ცვლილებებს გამოიყენებს 2014 წლის 1 იანვრამდე, მან ამავედროულად უნდა გამოიყენოს სსბასს 32, სსბასს 5-ის მე-6 და 42 (ა) პუნქტების ცვლილებები, სსბასს 13-ის 25-ე-27-ე და 85 (ბ) პუნქტების ცვლილებები, სსბასს 29-ის მე-2 და 125 (ა) პუნქტების ცვლილებები და სსბასს 31-ის მე-6 და 132 (ა) პუნქტების ცვლილებები.
- 107დ. 2011 წლის ოქტომბერში გამოცემული *სსბასს-ების 2011 წლის გაუმჯობესების* შედეგად შეიცვალა 79-ე, 81-ე, 83-ე, 88-ე და 93-ე პუნქტები. ერთეული ვალდებულია, გამოიყენოს აღნიშნული ცვლილებები წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, რომელიც მოიცავს 2013 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდგომ დაწყებულ პერიოდებს. უფრო ადრე გამოყენება რეკომენდებულია. თუ ერთეულმა ამ ცვლილებების განხორციელება 2013 წლის 1 იანვრამდე დაიწყო, მან უნდა გაამჟღავნოს აღნიშნული ფაქტი.
- 107ე. მე-17, 50-ე და 72 პუნქტები შეიცვალა და დაემატა 78 (ა) და 106 (ა) პუნქტები 2015 წლის იანვარში *სსბასს-ების 2014 წლის გაუმჯობესების* გამოცემის შემდეგ. ერთეულმა უნდა გამოიყენოს მოცემული ცვლილება წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, რომელიც მოიცავს პერიოდებს დაწყებულს 2015 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღის შემდეგ. ადრეული გამოყენება რეკომენდებულია. თუ რომელიმე ერთეული იყენებს ცვლილებას 2015 წლის 1 იანვრამდე პერიოდისათვის, მან უნდა გაამჟღავნოს აღნიშნული ფაქტი.
- 107ვ. 95-ე, 96-ე, 97-ე, 98-ე, 99-ე, მე-100, 101-ე, 102-ე, 103-ე, 104-ე და 108-ე პუნქტები შეიცვალა სსბასს 33-ის, *დარიცხვის მეთოდის საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) პირველად გამოყენება*, 2015 წლის იანვარში გამოცემის შედეგად. ერთეულმა უნდა გამოიყენოს ეს ცვლილება წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის. ადრეული გამოყენება ნებადართულია.

თუ ერთეული იყენებს სსბასს 33-ს 2017 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, ამ ადრინდელი პერიოდისთვის ასევე უნდა იქნას გამოყენებული აღნიშნული ცვლილება.

- 107ბ. მე-5, მე-20 და 52-ე პუნქტები შეიცვალა 2016 წლის აპრილში *სსბასს-ების 2015 წლის გაუმჯობესების* გამოცემის შედეგად. ერთეულმა უნდა გამოიყენოს აღნიშნული ცვლილებები წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის. ადრეული გამოყენება რეკომენდებულია. თუ ერთეული ცვლილებებს გამოიყენებს 2017 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან უნდა გაამყდავნოს აღნიშნული ფაქტი.
- 107თ. მე-6, მე-13 და 52-ე პუნქტები შეიცვალა და დაემატა 36 (ა) პუნქტი 2016 წლის აპრილში *სსბასს-ების 2015 წლის გაუმჯობესების* გამოცემის შედეგად. ერთეულმა უნდა გამოიყენოს აღნიშნული ცვლილებები წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის. ადრეული გამოყენება რეკომენდებულია. თუ ერთეული ცვლილებებს გამოიყენებს 2017 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან უნდა გაამყდავნოს აღნიშნული ფაქტი. ერთეულმა აღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს რეტროსპექტულად, სსბასს 3-ის, *სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები, შესაბამისად, გარდა 107 (ი) პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.*
- 107ი. საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც პირველად გამოიყენეს *სსბასს-ების 2015 წლის გაუმჯობესების IV* ნაწილიდან სსბასს 17-ის და სსბასს 27-ის ცვლილებები, ერთეულმა არ უნდა გაამყდავნოს სსბასს 3-ის 33 (ვ) პუნქტით გათვალისწინებული რაოდენობრივი ინფორმაცია მიმდინარე პერიოდისთვის. ამასთან, ერთეულმა უნდა წარადგინოს სსბასს 3-ის 33 (ვ) პუნქტით გათვალისწინებული რაოდენობრივი ინფორმაცია თითოეული წინა წარდგენილი პერიოდისთვის.
- 107კ. ერთეულს უფლება აქვს ნაყოფის მომცემი კულტურა შეაფასოს სამართლიანი ღირებულებით, რომელიც განსაზღვრული იქნება იმ საანგარიშგებო პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი ყველაზე ადრეული პერიოდის დასაწყისისთვის, როდესაც ერთეული პირველად გამოიყენებს *სსბასს-ების 2015 წლის გაუმჯობესების IV* ნაწილიდან სსბასს 17-ის და სსბასს 27-ის ცვლილებებს და ეს სამართლიანი ღირებულება მიიჩნის ამ თარიღისთვის დასაშვებ საწყის ღირებულებად. სხვაობა ადრინდელ საბალანსო ღირებულებასა და სამართლიან ღირებულებას შორის უნდა აღიარდეს ყველაზე ადრეული წარდგენილი პერიოდის დაგროვილი ნამეტის/დეფიციტის საწყის ნაშთში.
- 107ლ. მე-3 და მე-4 პუნქტები ამოღებულია 2016 წლის აპრილში *სსბასს-ების გამოყენების* გამოცემის შედეგად. ერთეულმა უნდა გამოიყენოს

აღნიშნული ცვლილებები წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის. ადრეული გამოყენება რეკომენდებულია. თუ ერთეული ცვლილებებს გამოიყენებს 2018 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან უნდა გაამჟღავნოს აღნიშნული ფაქტი.

- 107ბ. დამატებულია 51 (ა) პუნქტი *გადაფასებული აქტივების გაუფასურება* (ცვლილებები სსბასს 21-სა და სსბასს 26-ში) გამოცემის შედეგად. ერთეულმა აღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული პერიოდებისათვის. თუ ერთეული ამ ცვლილებას გამოიყენებს 2018 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან უნდა გაამჟღავნოს აღნიშნული ფაქტი.
- 107გ. 31-ე პუნქტი შეიცვალა 2016 წლის ივლისში სსბასს 39-ის, *დაქირავებულთა სარგებელი*, გამოცემის შედეგად. ერთეულმა აღნიშნული ცვლილებები უნდა გამოიყენოს წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის. ადრეული გამოყენება რეკომენდებულია. თუ ერთეული ცვლილებებს გამოიყენებს 2018 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისათვის, მან უნდა გაამჟღავნოს აღნიშნული ფაქტი და ამავედროულად გამოიყენოს სსბასს 39.
- 107დ. მე-60 და 88-ე პუნქტები შეიცვალა 2017 წლის იანვარში სსბასს 40-ის, *საჯარო სექტორის ერთეულთა გაერთიანებები*, გამოცემის შედეგად. ერთეული ამ ცვლილებებს გამოიყენებს პერსპექტიულად, წლიური ფინანსური ანგარიშგებისთვის, რომელიც მოიცავს პერიოდებს, რომლებიც იწყება სსბასსს-ს მიერ განსაზღვრული თარიღიდან ან მის შემდეგ. ადრეული გამოყენება ნებადართულია. თუ ერთეული გამოიყენებს ზემოაღნიშნულ ცვლილებებს უფრო ადრე, მან უნდა გაამჟღავნოს ეს ფაქტი და, თუ მას უკვე არ გაუკეთებია, იმავედროულად გამოიყენოს სსბასს 40.
108. როდესაც ერთეული ნერგავს დარიცხვის მეთოდის საფუძველზე სსბასს-ებს, როგორც ეს განსაზღვრულია სსბასს 33-ში, *დარიცხვის მეთოდის საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) პირველად გამოყენება*, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, ძალაში შესვლის თარიღისათვის, წინამდებარე სტანდარტი გამოიყენება ერთეულის წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, რომელიც მოიცავს პერიოდებს, დაწყებულს სსბასს-ების დანერგვის თარიღიდან ან მის შემდეგ.

სსბასს 17 (2001)-ის გაუქმება

109. წინამდებარე სტანდარტი ცვლის 2001 წელს გამოცემულ სსბასს 17-ს,
ძირითადი აქტივები.

ცვლილებები სხვა სსბასს-ებში

[ამოღებულია]

დასკვნის საფუძველი

წინამდებარე დასკვნის საფუძველი თან ერთვის, მაგრამ არ არის სსბასს 17-ის შემადგენელი ნაწილი.

სსბასს 17-ის გადახედვა ბასსს-ს გენერალური გაუმჯობესებების პროექტი 2003-ის შედეგად

შესავალი

- დს1. სსბასსს-ის ფასს-ების კონვერგენციის პროგრამა სსბასსს-ის სამუშაო პროგრამის მნიშვნელოვანი ელემენტია. სსბასსს-ის პოლიტიკა მდგომარეობს იმაში, რომ მოახდინოს სსბასს-ებში გამოყენებული დარიცხვის მეთოდის თანხვედრა ბასსს-ის მიერ გამოცემულ ფასს-თან, სადაც ეს საჯარო სექტორის ერთეულებისათვის მართებული იქნება.
- დს2. სსბასს-ის დარიცხვის საფუძვლის ფასს-ით კონვერგენციის შემთხვევაში ძალაში რჩება ფასს-ის მოთხოვნები, სტრუქტურა და ტექსტი, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ არსებობს საჯარო სექტორისათვის დამახასიათებელი სპეციფიური მიზეზები. ფასს-ის ეკვივალენტიდან გამოსვლა მაშინ ხორციელდება, როდესაც ფასს-ის მოთხოვნები ან ტერმინოლოგია არ შეესაბამება საჯარო სექტორს, ან როდესაც საჯარო სექტორის კონტექსტში გარკვეული მოთხოვნების სადემონსტრაციოდ საჭირო ხდება დამატებითი კომენტარების ან მაგალითების ჩართვა. განსხვავებები სსბასსს-სა და მათ ეკვივალენტ ფასსს-ს შორის წარმოდგენილია ყოველ სსბასსს-ში მოცემულ *ფასს-თან შედარებაში*.
- დს3. 2002 წლის მაისში ბასსს-მ გენერალური გაუმჯობესებების პროექტის ფარგლებში გამოუშვა მე-13 საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტი² ცვლილებათა პროექტების პაკეტი. ბასსსს-ს გენერალური გაუმჯობესებების პროექტის მიზანს წარმოადგენდა "სტანდარტებს შორის ალტერნატივების, ზედმეტობებისა და კონფლიქტების შემცირება ან აღმოფხვრა, კონვერგენციის რიგ საკითხებზე რეაგირება და სხვა გაუმჯობესებების განხორციელება." საერთაშორისო

² ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ბასსს-ები) გამოიცა ბასსსს-ს წინამორბედის, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ. ბასსსს-ს მიერ გამოცემული სტანდარტების სათაურია ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები (ფასსს-ები). ბასსსს-მ განსაზღვრა, რომ ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები შედგება ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების ((ფასსს-ების), ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ბასსსს-ების) და სტანდარტების ინტერპრეტაციებისაგან. რიგ შემთხვევაში, ბასსსს-მ მოახდინა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების შესწორება და არა მათი ჩანაცვლება. ამ შემთხვევაში, ძველი ბასსსს-ები გამოიყენება.

საბუღალტრო სტანდარტის ბოლო ვერსიები 2003 წლის დეკემბერში გამოიცა.

- დს4. 2001 წლის დეკემბერში გამოცემული სსბასს 17 დაფუძნებული იყო ბასს 16-ზე (შესწორდა 1998 წელს), *ძირითადი საშუალებები*, რომელიც 2003 წლის დეკემბერში ხელახლა გამოიცა. 2003 წლის დასასრულს, სსბასსს-ს წინამორბედმა, საჯარო სექტორის კომიტეტმა³ მოახდინა სსბასს-ის გაუმჯობესების პროექტის ინიცირება, რომლის მიზანს წარმოადგენდა სსბასს-ის 2003 წლის დეკემბერში გამოცემული ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებთან კონვერგენცია, სადაც ეს შესაძლებელი იყო.
- დს5. სსბასსს-მ განიხილა გაუმჯობესებული ბასს 16 და ძირითადად, დაეთანხმა ბასსს-ს მიზეზებს ბასს-ის შესწორების თაობაზე და უკვე შეტანილ შესწორებებს დს6 პუნქტში აღნიშნული გამონაკლისების გათვალისწინებით (ბასსს-ს დასკვნის საფუძველი აქ გამეორებული არ არის. ბასსს-ის *სრული სააბონენტო მომსახურების ხელმომწერებს დასკვნის საფუძველი* შეუძლიათ იხილონ ბასსს-ს ვებ-გვერდზე: <http://www.iasb.org>). იმ შემთხვევებში, როცა სსბასს არ ემთხვევა შესაბამის ბასსს-ს, „დასკვნის საფუძველი“ იძლევა ამის განმარტობის საჯარო სექტორისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური მიზეზების განმარტებას.
- დს6. ბასს 16, *ძირითადი საშუალებები*, ასანაზღაურებელ თანხას განსაზღვრავს, როგორც “აქტივის წმინდა გასაყიდ ფასსა და მის წმინდა არსებულ ღირებულებაზე უფრო მაღალ” თანხად. სსბასს 17-ში ასანაზღაურებელი თანხა განსაზღვრულია შემდეგნაირად „ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივის საბაზრო ღირებულებაზე მაღალი თანხა რეალიზების ხარჯებისა და მისი გამოყენების ღირებულების გამოკლებით”. სსბასს 17-ში მოყვანილი განსაზღვრება იგივეა, რაც სსბასს 26-ის, *ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივების გაუფასურება*, თუმცა არა ბუღალტრული აღრიცხვის მე-16 საერთაშორისო სტანდარტისა. სსბასსს-ს მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია სსბასს 17-ის განსაზღვრება, რადგანაც:
- (ა) სსბასს 17 მოითხოვს ერთეულისაგან სსბასს 21-ის, *ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გაუფასურება*, შესაბამისად მოახდინოს მომსახურების აღდგენითი ღირებულების განსაზღვრა.
 - (ბ) სსბასს 21 მოითხოვს ერთეულისაგან,, სსბასს 26-ის შესაბამისად მოახდინოს აღდგენითი ღირებულების განსაზღვრა.

³ სსკ გახდა სსბასსს მამინ, როდესაც 2004 წლის ნოემბერში ბსფ-ის საბჭომ შეიცვალა მანდატი და გახდა სტანდარტების შემმუშავებელი დამოუკიდებელი ორგანო.

დს7. 2003 წლის დეკემბრის შემდეგ გამოცემული ფასს-ების შედეგად ბასს 16-ში უფრო მეტი შესწორებები შევიდა. სსბასს 17 არ მოიცავს 2003 წლის დეკემბრის შემდეგ გამოცემული ფასს-ებიდან გამომდინარე შესწორებებს. ეს იმიტომ, რომ სსბასსს-ს ჯერ არ შეუსწავლია საკითხი და არ ჩამოუყალიბებია საკუთარი მოსაზრება საჯარო სექტორის ერთეულებში ამ ფასს-ებში განსაზღვრული მოთხოვნების დანერგვის მიზანშეწონილობის შესახებ.

სსბასს 17-ის გადახედვა 2008 წელს გამოცემულ ფასს-ში ბასსს-ს მიერ განხორციელებული გაუმჯობესებების შედეგად

დს8. სსბასს-მ განიხილა ბასსს-ს მიერ 2008 წლის მაისში გამოცემულ *ფასს-ების გაუმჯობესებებში* შემავალი ბასს 16-ის შესწორებები და ძირითადად, დაეთანხმა ბასსს-ს მიზეზებს ამ სტანდარტის შესწორების შესახებ. სსბასსს-მ დაასკვნა, რომ არ არსებობდა საჯარო სექტორისათვის დამახასიათებელი სპეციფიური მიზეზი, თუ რატომ არ უნდა ყოფილიყო დანერგილი შესაბამისი ცვლილებები.

სსბასს 17-ის გადახედვა ბასსს-ს მიერ განხორციელებული *ფასს-ების გაუმჯობესების* და 2012 წლის მაისის, 2013 წლის დეკემბრის და 2014 წლის მაისის ვიწრო მასშტაბის ცვლილებების შედეგად

დს9. სსბასსს-მ მიმოიხილა ბასს 16-ში შეტანილი ცვლილებები, რომლებიც ასახულის *ფასს-ების გაუმჯობესებასა და ცვეთისა და ამორტიზაციის მისაღები მეთოდების ახლის* დოკუმენტში, რომლებიც ბასსს-ს მიერ გამოიცა 2012 წლის მაისში, 2013 წლის დეკემბერში და 2014 წლის მაისში. ამ დოკუმენტებით ზოგადად შეთანხმდა, რომ არ არსებობს განსაკუთრებული მიზეზი საჯარო სექტორისთვის იმისა, რომ იყოს მიღებული აღნიშნული ცვლილებები.

სსბასს 17-ის გადახედვა *სსბასს-ების 2015 წლის გაუმჯობესების III ნაწილის* შედეგად: დანტერესებული მხარეების მიერ წამოჭრილი საკითხები

დს10. სახელმწიფო ფინანსების სტატისტიკით (GFS) გათვალისწინებული ანგარიშგების შესახებ სახელმძღვანელო მითითებებით იყენებენ ტერმინს „შეიარაღების სისტემები“, რომ მოიცავს საგნებს, რომლებსაც მუდმივად იყენებენ თავდაცვის მომსახურების უზრუნველსაყოფად, მაშინაც კი, თუ მათი სამშვიდობოდ გამოყენება მხოლოდ დანაშაულის ჩადენისგან შეკავების მიზნებისათვისაა. სსბასსს-მ დაასკვნა, რომ სსბასს ტერმინის „სპეციალური სამხედრო აღჭურვილობის“ შეცვლა GFS ტერმინით „შეიარაღების სისტემები“ და აღწერილობის ჩართვა უფრო ნათელს გახდის სსბასს 17-ის, *ძირითადი აქტივები*, გამოყენებას და ამავდროულად, გაზრდის GFS-ის ანგარიშგების მითითებებთან შესაბამისობას.

დს11. რესპოდენტმა გამოთქვა წუხილი იმის შესახებ, რომ შეიარაღების სისტემების შემოთავაზებული განმარტება შეიძლება ზედმეტად

ვიწროა და, შესაბამისად, შესაძლებელია გამორიცხავდეს გარკვეულ აქტივებს, მაგალითად, სპეციალურ სამხედრო მანქანებს, რომლებსაც არ აქვთ შეიარაღება ან პირდაპირ უზრუნველყოფენ თავდაცვისუნარიანობას. სსბასსს-ს შეხედულებით, შეიარაღების სისტემების განმარტება მოიცავს ასეთ მანქანებს, შეიარაღებით ან მის გარეშე, იმ პირობით, რომ ისინი შეასრულებენ სპეციალისტის ფუნქციას.

სსბასს 17-ის გადახედვა, 2014 წლის ივნისში ბასსს-ს მიერ გამოცემული ვიწრო მასშტაბის ცვლილებების შედეგად

დს12. სსბასსს-მ მიმოიხილა ვიწრო მასშტაბის ცვლილებებით გათვალისწინებული ბასს 16-ის შესწორებები, სახელწოდებით *სოფლის მეურნეობა: ნაყოფის მომცემი კულტურები* (შესწორებები ბასს 16-სა და ბასს 41-ში), რომლებიც ბასსს-მ გამოსცა 2014 წლის ივნისში და ზოგადად დათანხმდა, რომ არ არსებობს საჯარო სექტორითვის განსაკუთრებული მიზეზი იმისა, რომ ყოფილიყო მიღებული აღნიშნული ცვლილებები.

სსბასს 17-ის გადახედვა 2016 წლის აპრილში სსბასსს-ს მიერ გამოცემული სსბასს-ების გამოყენების შედეგად

დს13. სსბასსს-მ 2016 წლის აპრილში გამოსცა *სსბასს-ების გამოყენება*. ამ დოკუმენტით, ყველა სსბასს-ში იქნა ცვლილებები შეტანილი შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- (ა) თითოეული სტანდარტის მოქმედების სფეროდან ამოღებულია სტანდარტული პუნქტები სსბასსს-ების „საჯარო სექტორის ერთეულებისთვის, გარდა სახელმწიფო კომერციული საწარმოებისა (სკს)“ გამოყენების შესახებ;
- (ბ) ტერმინი „სკს“ შეცვლილია ტერმინით „საჯარო სექტორის კომერციული ერთეული“, საჭიროების შემთხვევაში; და
- (გ) ცვლილებები იქნა შეტანილი *საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების წინასიტყვაობის* მე-10 პუნქტში, იმ საჯარო სექტორის ერთეულების პოზიტიური აღწერით, რომლისთვისაც არის განკუთვნილი სსბასს-ები.

ამ ცვლილებების მიზეზები განხილულია სსბასს 1-ის დასკვნის საფუძველში.

გადაფასებული აქტივების გაუფასურება (ცვლილებები შეტანილი იქნა სსბასს 21-სა და სსბასს 26-ში)

დს14. სსბასს 21-სა, *ფულადი სახსრების წარმომქმნელი აქტივების*

გაუფასურება, და სსბასს 26-ში, ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გაუფასურება, შეტანილი ცვლილებების შედეგად, სსბასსს-მ გადაწყვიტა 51 (ა) პუნქტის დამატება, რათა განემარტა, რომ აქტივების ან აქტივების ჯგუფის გაუფასურების ზარალის აღიარება და გაუფასურების ზარალის ანულირება არ წარმოქმნის აქტივების იმ კლასის გადაფასების საჭიროებას, რომელსაც ეკუთვნის აღნიშნული აქტივი, ან აქტივების ჯგუფი.

მითითებები დანერგვაზე

ეს მითითებები თან ერთვის სსბასს 17-ს, თუმცა მის ნაწილს არ წარმოადგენს.

ძირითადი აქტივების გადაფასების სიხშირე

მდ1. სსბასს 17-ის 44-ე პუნქტის თანახმად, ის ერთეულები, რომლებიც იყენებენ გადაფასების მოდელს, ვალდებული არიან, აქტივები შეაფასონ გადაფასების შედეგად დადგენილი თანხით, რომელიც მნიშვნელოვნად არ განსხვავდება იმ თანხისაგან, რომელიც დადგინდებოდა ანგარიშგების თარიღისათვის განსაზღვრული საბაზრო ღირებულების გამოყენების შედეგად. სსბასს 17-ის 49-ე პუნქტში განსაზღვრულია, რომ გადაფასების სიხშირე დამოკიდებულია გადაფასებას დაქვემდებარებული ძირითადი აქტივების საგნების საბაზრო ღირებულებაში მომხდარ ცვლილებებზე. როდესაც გადაფასებას დაქვემდებარებული აქტივის საბაზრო ღირებულება არსებითად განსხვავდება მისი საბალანსო ღირებულებისაგან, აუცილებელია გადაფასების ჩატარება. ამ მითითებების მიზანია, დახმარება გაუწიოს იმ ერთეულებს, რომლებიც აპირებენ გადაფასების მოდელის დანერგვას, განსაზღვრონ, ანგარიშგების მომენტისათვის არსებითად განსხვავდება თუ არა აქტივის საბალანსო ღირებულება მისი საბაზრო ღირებულებისაგან.

მდ2. ანგარიშგების ყოველი თარიღისათვის ერთეული აფასებს, არსებობს თუ არა რაიმე მიმანიშნებელი გარემოება, რომ გადაფასებული აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად განსხვავდება იმ ღირებულებისაგან, რომელიც დადგინდებოდა ანგარიშგების დღეს აქტივის გადაფასების შემთხვევაში. და თუ არსებობს, ერთეული განსაზღვრავს აქტივის საბაზრო ღირებულებას და მოახდენს აქტივის გადაფასებას ამ თანხამდე.

მდ3. იმის განსაზღვრისას, არსებობს თუ არა რაიმე მიმანიშნებელი გარემოება, რომ გადაფასებული აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად განსხვავდება იმ ღირებულებისაგან, რომელიც დადგინდებოდა ანგარიშგების დღეს აქტივის გადაფასების შემთხვევაში, ერთეულმა, როგორც მინიმუმ, უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ინდიკატორები:

ინფორმაციის გარე წყაროები

- (ა) აღნიშნულ პერიოდში ტექნოლოგიურ, საბაზრო, ეკონომიკურ ან საკანონმდებლო სფეროში განხორციელდა, ან უახლოეს მომავალში განხორციელდება მნიშვნელოვანი ცვლილებები, რამაც ზეგავლენა მოახდინა ან მოახდენს ერთეულზე, რომელიც ამ გარემოში ფუნქციონირებს, ან იმ ბაზარზე, რომელზეც მიმაგრებულია აქტივი;

- (ბ) როდესაც ერთეულის აქტივებისათვის გახსნილია ბაზარი, აქტივების საბაზრო ღირებულება განსხვავებულია მათი საბალანსო ღირებულებისაგან;
- (გ) აღნიშნულ პერიოდში აქტივის ფასის ინდექსმა არსებითი ცვლილებები განიცადა;

ინფორმაციის შიდა წყაროები

- (დ) არსებობს აქტივის მოძველების ან ფიზიკური დაზიანების მტკიცებულება;
- (ე) აღნიშნულ პერიოდში განხორციელდა, ან უახლოეს მომავალში განხორციელდება ერთეულზე ზეგავლენის მქონე მნიშვნელოვანი ცვლილებები იმ კუთხით, თუ როგორ და რა ინტენსივობით გამოიყენებოდა, ან როგორ და რა ინტენსივობით იქნება გამოყენებული აქტივი. უარყოფითი ზეგავლენის მქონე ცვლილებებში შედის შემთხვევები, როდესაც აქტივი ხდება უსარგებლო, ან ამ აქტივის წინასწარ განზრახულ თარიღამდე გამოყენება და აქტივის ვარგისიანობის ვადის ხელახალი განსაზღვრა, როგორც განსაზღვრულის, ნაცვლად განუსაზღვრელი ვადიანისა. "სასარგებლო" ცვლილებებში შედის განსაზღვრულ პერიოდში აქტივის სტანდარტული ფუნქციების გასაუმჯობესებლად ან გასაძლიერებლად გაწეული კაპიტალური ხარჯები, რომელთა შეფასება ხდება უშუალოდ ამ ხარჯის გაწევამდე; და
- (ვ) შიდა ანგარიშგების შედეგად არსებობს მტკიცებულება, რომელიც მიუთითებს, რომ აქტივის ეკონომიკური ფუნქციონირება არის ან გახდება მოსალოდნელზე უარესი, ან უკეთესი..

მდ4. მდ3-ე პუნქტში მოცემული სია არ არის ამომწურავი. ერთეულმა შეიძლება გამოავლინოს სულ სხვა ინდიკატორები იმისა, რომ გადაფასებას დაქვემდებარებული აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად განსხვავდება იმ ღირებულებისაგან, რომელიც დადგინდებოდა ანგარიშგების დღეს აქტივის გადაფასების შემთხვევაში. ამ დამატებითი ინდიკატორების არსებობა შესაძლოა მიუთითებდეს, რომ ერთეულმა უნდა მოახდინოს აქტივების გადაფასება ანგარიშგების თარიღის დღის საბაზრო ღირებულების შესაბამისად.

საილუსტრაციო მაგალითები

განმარტებითი შენიშვნები

სმ1. შინაგან საქმეთა დეპარტამენტი წარმოადგენს საჯარო სექტორის ერთეულს, რომელიც ახორციელებს მთელი რიგი ძირითადი აქტივების კონტროლს და პასუხისმგებელია ამ ქონების რემონტსა და სხვა სახის საექსპლუატაციო საკითხებზე. ქვემოთ მოცემულია ამონაწერი ამ ერთეულის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშიდან 20X1 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სადაც ილუსტრირებულია ძირითადი განმარტებითი შენიშვნები ამ სტანდარტის შესაბამისად.

განმარტებები:

1. მიწა

(ა) მიწა შედგება 20 ათასი ჰექტარისაგან და განთავსებულია სხვადასხვა ადგილას. მიწა შეფასებულია 20X1 წლის 31 დეკემბრის საბაზრო ღირებულებით, როგორც ეს განსაზღვრულია დამოუკიდებელი შემფასებლის, ეროვნული შემფასებლის ოფისის მიერ.

(ბ) უფლებებთან დაკავშირებული შეზღუდვები:

ხუთასი ჰექტარი მიწა (საბალანსო ღირებულებაა 62,500 სავალუტო ერთეული) წარმოადგენს ეროვნული ინტერესის მატარებელ მიწას და ვერ გაიყიდება საკანონმდებლო ხელისუფლების წინასწარი თანხმობის გარეშე. ეროვნული ინტერესის მატარებელი მიწიდან ორასი ჰექტარი (საბალანსო ღირებულებაა 25,000 სავალუტო ერთეული) და დამატებით კიდევ ორიათასი ჰექტარი სხვა მიწა (საბალანსო ღირებულებაა 250,000 სავალუტო ერთეული) ექვემდებარება უფლებრივ შეზღუდვებს წინა მესაკუთრეების მიერ ადამიანთა უფლებების საერთაშორისო სასამართლოში წარდგენილი საჩივრის სასამართლო განხილვების გამო და სასამართლომ დაადგინა, რომ მიწის განკარგვა ვერ მოხდება საქმის განხილვის დასრულებამდე. დეპარტამენტი აღიარებს და ემორჩილება სასამართლოს იურისდიქციას ამ საქმეების მოსმენისას.

2. შენობა-ნაგებობები

(ა) შენობებში შედის სხვადასხვა ადგილას მდებარე საოფისე შენობები და სხვადასხვა საწარმოო ნაგებობები.

(ბ) შენობა-ნაგებობები თავდაპირველად აღიარებულია თვითღირებულებით, თუმცა ექვემდებარებიან საბაზრო ფასის შესაბამის რეგულარულ გადაფასებას. ეროვნული შემფასებლის ოფისი მოკლევადიანი დროით განსაზღვრავს საბაზრო ფასს. გადაფასება რეგულარულად ტარდება და ახლდება.

- (გ) ცვეთის გაანგარიშება შენობა-ნაგებობის საექსპლუატაციო ვადის შესაბამისად სწორხაზოვნად ხორციელდება. საოფისე შენობების საექსპლუატაციო ვადა 25 წელია, ხოლო სხვადასხვა საწარმოო ნაგებობებისა - 15 წელი.
- (დ) დეპარტამენტმა ახალი შენობა-ნაგებობების მშენებლობისათვის ხუთი კონტრაქტი დადო; კონტრაქტებით გათვალისწინებული საერთო ხარჯი 250,000 სავალუტო ერთეულს წარმოადგენს.

3. მანქანა-დანადგარები

- (ა) მანქანა-დანადგარების შეფასება ხდება ხარჯს მინუს ცვეთის თანხით.
- (ბ) ცვეთის გაანგარიშება ხდება მანქანა-დანადგარების საექსპლუატაციო ვადის შესაბამისად, წრფივი მეთოდით.
- (გ) მანქანა-დანადგარებს სხვადასხვა საექსპლუატაციო ვადები აქვთ:

ტრაქტორებს: 10 წელი

სამრეცხაო დანადგარებს: 4 წელი

ამწეებს: 15 წელი

- (დ) დეპარტამენტმა დადო კონტრაქტი შენობა-ნაგებობების გაწმენდისა და ექსპლუატაციისათვის გამოყენებული ამწეების შეცვლის შესახებ. კონტრაქტით გათვალისწინებული საერთო ხარჯი 100,000 სავალუტო ერთეულს წარმოადგენს.

4. ავეჯი და მოძრავი ქონება

- (ა) ავეჯისა და მოძრავი ქონების შეფასება ხდება ხარჯს მინუს ცვეთის თანხით.
- (ბ) ცვეთის გაანგარიშება ავეჯისა და მოძრავი ქონების საექსპლუატაციო ვადის შესაბამისად წრფივი მეთოდით ხორციელდება.
- (გ) ამ ჯგუფში კლასიფიცირებული ყველა ობიექტის საექსპლუატაციო ვადა ხუთი წელია.

შეჯერება

('000 საგალუტო ერთეულებში)

	მიწა		შენობა- ნაგებობები		მანქანა- დანადგარები		ავეჯი და მომრავი ქონება	
	20X1	20X0	20X1	20X0	20X1	20X0	20X1	20X0
ანგარიშგების პერიოდი								
საწყისი ნაშთი	2,250	2,025	2,090	2,260	1,085	1,100	200	150
დამატებები	–	–	250	100	120	200	20	100
განკარგვა	–	–	150	40	60	80	20	–
ცვეთა (ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშის შესაბამისად)	–	–	160	180	145	135	50	50
გადაფასება (წმინდა)	250	225	- 30	- 50	–	–	–	–
საბოლოო ნაშთი (ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშის შესაბამისად)	2,500	2,250	2,000	2,090	1,000	1,085	150	200
გადაფასების ნამეტების ჯამი (მუხლი 92(f))	750	500	250	250	–	–	–	–
გადაფასების დეფიციტების ჯამი (მუხლი 92(g))	25	25	380	350	–	–	–	–
მთლიანი საბალანსო ღირებულება	2,500	2,250	2,500	2,430	1,500	1,440	250	250
აკუმულირებული ცვეთა	–	–	500	340	500	355	100	50
წმინდა საბალანსო ღირებულება	2,500	2,250	2,000	2,090	1,000	1,085	150	200

ბასს 16-თან შედარება

სსბასს 17 უპირატესად ბასს 16 (2003)-დან, ძირითადი საშუალებები გამომდინარეობს და მოიცავს ბასს 16-ის შესწორებებს, როგორც 2008 წლის მაისში გამოცემულ ფასს-ების გაუმჯობესებების ნაწილს. ამ სტანდარტის გამოცემისას სსბასსს-ს არ გაუთვალისწინებია საჯარო სექტორის ერთეულებზე ფასს 5-ის, გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციები, გავრცელება ამიტომ, სსბასს 17-ში არ არის ასახული ბასს 16-ში ფასს 5-ის გამოცემის შემდეგ მომხდარი ცვლილებები. სსბასს 17-სა და ბასს 16 (2003)-ს შორის ძირითადი განსხვავებები შემდეგია:

- სსბასს 17 არ მოითხოვს, ან კრძალავს მემკვიდრეობითი აქტივების აღიარებას. ერთეული, რომელიც აღიარებს მემკვიდრეობით აქტივებს, ვალდებულია დაიცვას ამ სტანდარტის გამჟღავნების მოთხოვნები აღიარებულ მემკვიდრეობით აქტივებთან დაკავშირებით, და შეუძლია, თუმცა არ მოეთხოვება, შეესაბამებოდეს ამ მემკვიდრეობით აქტივებთან დაკავშირებით ამ სტანდარტის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს. ბასს 16-ში ამგვარი გამონაკლისი არ არსებობს.
- ბასს 16 მოითხოვს, რომ ძირითადი საშუალებები თავდაპირველად ამ ძირითადი საშუალებების თვითღირებულებით შეფასდეს. სსბასს 17 განსაზღვრავს, რომ როდესაც ობიექტის შეძენა უფასოდ ან ნომინალურ ფასად ხდება, ამ ობიექტის ფასს წარმოადგენს იმ დღის საბაზრო ღირებულება, როდესაც ამ ობიექტის შესყიდვა განხორციელდა. ბასს 16 განსაზღვრავს, რომ თუ საწარმო იყენებს გადაფასების მეთოდს და ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებად გადაფასებულ ღირებულებას მიუთითებს, მან უნდა მოახდინოს ეკვივალენტური ფასის თანხების ქრონოლოგიური დეკლარირება. სსბასს 17 ასეთ მოთხოვნას არ მოიცავს.
- ბასს 16-ის შესაბამისად, გადაფასების შედეგად ღირებულების ზრდა ან კლება მხოლოდ ინდივიდუალური ერთეულების შედარების საფუძველზე უნდა ხდებოდეს. სსბასს 17-ის თანახმად, გადაფასების შედეგად ღირებულების ზრდის ან კლების ურთიერთშედარება აქტივის ჯგუფის ბაზაზე ხდება.
- სსბასს 17 მოიცავს გარდამავალ დებულებებს ორივე შემთხვევაში, სსბასს 17-ის თავდაპირველად მიღებისას და ასევე მისი ძველიდან ახალ ვერსიაზე გადასვლისას. ბასს 16-ის თანახმად, გარდამავალი დებულებები ვრცელდება მხოლოდ იმ ერთეულების შემთხვევაში, რომლებიც უკვე იყენებენ ფასს-ს. უფრო კონკრეტულად კი, სსბასს 17 მოიცავს გარდამავალ დებულებებს, რომელთა მიხედვითაც ერთეულებს უფლება აქვთ,

სსბასს-ის შესაბამისი დარიცხვის მეთოდის თავდაპირველი გამოყენების დღიდან ხუთი წლის განმავლობაში წარმოებული ანგარიშგების პერიოდებისათვის არ აღიარონ ძირითადი აქტივები. გარდამავალი დებულებები ასევე აძლევს უფლებას ერთეულებს, ამ სტანდარტის თავდაპირველი დანერგვისას აღიარონ ძირითადი აქტივები სამართლიანი ღირებულებით. ბასს 16-ს ასეთი გარდამავალი დებულებები არ გააჩნია.

- სსბასს 17-ში არსებობს ისეთი განსაზღვრებები, როგორცაა "ფულადი სახსრების არწარმომქმნელი აქტივების გაუფასურება" და „აღდგენითი მომსახურების ღირებულება“ ბასს 16-ში ასეთი განსაზღვრებები არ გამოიყენება. ბასს 16-ში აღნიშნულთან დაკავშირებული დამატებითი კომენტარი ასევე გამოყენებული იქნა სსბასს 17-ში, საჯარო სექტორის ერთეულების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისას აღნიშნული სტანდარტების გამოყენების შესაძლებლობის ასახსნელად.
- გარკვეულ შემთხვევებში სსბასს 17 ბასს 16-ისაგან განსხვავებულ ტერმინოლოგიას იყენებს. ყველაზე ძირეულ განსხვავებას წარმოადგენს სსბასს 17-ში ტერმინების "ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება" და "წმინდა აქტივები/კაპიტალი" გამოყენება. ბასს 16-ში აღნიშნულის ეკვივალენტური ტერმინებია "შემოსავლებისა და გასავლების შესახებ ანგარიში" და "კაპიტალი".
- სსბასს 17-ში არ გამოიყენება ტერმინი "ამონაგები" რომელსაც ბასს 16-ში უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ტერმინს „შემოსავალი“.
- სსბასს 17 მოიცავს ძირითადი აქტივების გადაფასების სიხშირის შესახებ მითითებებს დანერგვაზე. ბასს 16-ს მსგავსი ინსტრუქციები არ გააჩნია.